www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 29 ივნისი, 2012 წელი. | №3051 (144) | ფასი 50 თეთრი

"მასთ ქერის" დილემა „ქრისტიან-დემოკრატებისთვის"

დათო გამისონია

დღეს "მასთ ქერის" და "მასთ ოფერის" პრინციპს პარლამენტი საბოლოოდ დაამტკიცებს. გუშინ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე საარჩევნო კოდექსში ცვლილებას პირველი მოსმენით მხარი დაუჭირეს. კენჭისყრიდან რამდენიმე წუთში იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პროექტის მე-2 მოსმენით განხილვა დაიწყო. საბოლოოდ დადასტურდა, რომ "მასთ ქერის" და "მასთ ოფერის" პრინციპით მთელი ქვეყნის მასშტაბით არა მხოლოდ "მე-9 არხი" და "მაესტრო," არამედ "კავკასიაც" ისარგებლებს.

კანონპროექტის თანახმად, პრინციპი საერთო საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე იმ არხებზეც გავრცელდება, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის არა ნაკლებ 20 პროცენტისთვის არის ხელმისაწვდომი.

პროექტში მოცემული "მასთ ოფერის" პრინციპის თანახმად, საკაბელო ოპერატორები, არჩევნების თარიღის გამოცხადების შემდეგ, სიგნალს მაუწყებელთა ნებართვის გარეშე ჩართავენ. "მაუწყებლები, იმ მოტივით, რომ ტექნიკური აღჭურვილობა არა აქვთ, საკაბელოებისთვის სიგნალის მიწოდების ვალდებულებაზე უარს ვერ იტყვიან," - აცხადებს პავლე კუბლაშვილი. საკაბელო ოპერატორებმა კი მაუწყებლობის სავალდებულო ტრანზიტი არჩევნების გამოცხადებიდან ერთ დეღში უნდა უზრუნველყონ.

ტელეკომპანია "კავკასიის" გენერალური დირექტორი ნინო ჯანგირაშვილი, რომელიც კომიტეტის სხდომას ესწრებოდა, ჟურნალისტებს თავის მოსაზრებას უზიარებს. **"მიხარია, რომ "მასთ ქერის" პრინციპი "კავკასიაზეც" ავტომატურად გავრცელდება. ვფიქრობ, სამართლიანი გადაწყვეტილებაა,** - ამბობს ჯანგირაშვილი და ხუმრობით დასძენს, - **მადლობა პარტიას."**

ნინო ჯანგირაშვილის თქმით, "კავკასია" სატელიტური მაუწყებლობის მიღებას მაინც გეგმავს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

სიების კომისია სახელმწიფო უწყებებიდან ინფორმაციას ელოდება

მაგდა ლეკიაშვილი

სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია მუშაობის ახალ ეტაპზე გადავიდა. კომისიის რეგისტრატორებმა საქართველოს მასშტაბით "კარდაკარი" დაასრულეს და მიღებული მონაცემები ამ ეტაპზე ერთიან ბაზაში შეჰყავთ. ამომრჩევლების მიერ გარდაცვალების, საზღვარგარეთ ცხოვრებისა ან მიწერების შესახებ დაწერილი განცხადებები კომპიუტერულ ცენტრში ინდივიდუალურად განიხილება და ერთიან ბაზაში ისე შედის.

სახელმწიფო კომისიის წევრები პარალელურად რამდენიმე დამატებითი ღონისძიების განხორციელებას გეგმავენ. ეს, პირველ რიგში, პრობლემური მისამართების გადამოწმებას ეხება. იმ მისამართებზე, სადაც "კარდაკარის" შედეგად ბევრი ამომრჩევლის ერთად ჩაწერა დაფიქსირდა, კომისიის რეგისტრატორები კვლავ მივლენ და შემდეგ პრობლემის გადაჭრას იუსტიციის სამინისტროსთან ერთად ეცდებიან. გარდა ამისა, კომისიაში თავად რეგისტრატორების შემოწმებასაც გეგმავენ. სპეციალურად შექმნილი ჯგუფი, შემთხვევით შერჩევის მეთოდით, საქართველოს რამდენიმე რეგიონში ოჯახებში მივა და შეამოწმებს, მართლაც იყვნენ თუ არა მისულები ამ მისამართზე რეგისტრატორები. როგორც სიების დაზუსტების კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე ამბობს, ეს ინფორმაცია კომისიას დაეხმარება, გამოთვალოს, რამდენი იქნება ცდომილება საბოლოო მონაცემებში.

"15 ივლისისთვის კომისია უკვე სახელმწიფო უწყებებიდან მიიღებს ამომრჩეველთა განახლებულ სიას, რომელიც ჩვენ მიერ გადამოწმებულ სიებთან შეჯერდება.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

თურქეთი უსაფრთხოების ზომებს აძლიერებს

აფეთქება იუსტიციის სასახლესთან დამასკოში

ხათუნა გაბიევი

ომს არ ვაპირებთ, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის თავდაცვა აუცილებელია, - დაახლოებით ამ შინაარსის გზავნილს შეიცავს თურქეთის განცხადება და მოქმედება სირიის მისამართით. "ომი არ იქნება" - პირობას იძლევა ანკარა, მაგრამ ამავდროულად სამხედრო ტექნიკა სირიის საზღვართან გადააქვს.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

იუნესკომ ბაგრატის საკითხი 2013 წლისთვის გადადო

სოფიო ნემსაძე

საქართველოს ძეგლთა დაცვის სააგენტოს ცნობით, "28 ივნისს, გამთენიისას თბილისის დროით 04:00 საათზე ტალინი-თბილისის რეისით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი და ეროვნული სააგენტოს იუნესკოსთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლები დაბრუნდნენ."

როგორც სააგენტოს წარმომადგენლები აღნიშნავენ, დელეგაცია 3-დღინი ვიზიტით მონაწილეობას იღებდა იუნესკოს საიუბილეო, 36-ე კომიტეტზე, სადაც "გელათისა და ბაგრატის საკითხი მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა წარმატებით განიხილეს."

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6376⇓
1 ევრო	2.0470⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5615⇓
1 თურქული ლირა	0.9016⇓
100 რუსული რუბლი	4.9365⇓

თბილისი	29°C - 18°C
ქუთაისი	26°C - 19°C
თელავი	31°C - 16°C
ზუგდიდი	26°C - 18°C
ბათუმი	24°C - 19°C

ნავთობი	2.59	+0.02	+0.70%
გაზი	2.88	+0.11	+3.89%
ოქრო	1,575.20	+0.30	+0.02%
ხორბალი	757.50	+10.50	+1.39%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

საქართველოს ნაკრებს ახალი ნატურალიზებული კალათბურთელი ჰყავს

საქართველოს საკალათბურთო ნაკრები ევრო 2013-ის შესარჩევ ციკლში უნდა ჩაებას.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწეებთან კოტე ტუღუშთან და დავით უსტიაშვილთან ერთად მივიდა. პრესკონფერენციაზე იმ კალათბურთელთა სია გაგვაცნეს, რომლებიც 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მოემზადებიან.

გამთამაშებლები
კორი ფიშერი, გიორგი ცინცაძე, ოთარ ფხაკაძე, რეზო როგავა
მსროლელები
მანუჩარ მარკოიშვილი, ბესო ლეჟავა, მერაბ ბოქოლიშვილი, დუდა სანაძე
მსუბუქი ფორვარდები
ვიქტორ სანიკიძე, ანატოლი ბოისა, ლევან ფაცაცია
მძიმე ფორვარდები
თორნიკე შენგელია, აკაკი დვალიშვილი, ნიკა მეტრეველი, ბექა ბექაური
ცენტრები
ზაზა ფაჩულია, გიორგი შერმადინი, რიჩარდ მათიაშვილი

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის" და „Weekend"-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" წიგნებზე „საქართველოს ფოსტის" პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

მერეთის ინციდენტს ომბუდსმენი სწავლობს

სახალხო დამცველის აპარატმა გორის რაიონის სოფელ მერეთში, 26 ივნისს მომხდარი ინციდენტის შესწავლა დაიწყო.

როგორც სახალხო დამცველი აცხადებს, შესწავლის მოტივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ვიდეომასალები გახდა, რომლის მიხედვითაც, ინციდენტში მონაწილე პირები წარმოადგენენ საჯარო მოსამსახურეებს, მათ შორის არიან გორის თვითმმართველობისა და შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები.

"27 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია ინციდენტში მონაწილე პირების დაკავებისა და მათი, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევების სასამართლოსადმი წარდგენის შესახებ, ხოლო სასამართლოს მიერ წარდგენილ 4 პირს შეეფარდათ ადმინისტრაციული პატიმრობა 10 დღის ვადით. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულ პირებს შორის ზემოხსენებული მოხელეები არ არიან, - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში.

როგორც ომბუდსმენი განმარტავს, მსგავს დაპირისპირებაში საჯარო მოხელეთა მონაწილეობა წარმოადგენს, როგორც მინიმუმ, საჯარო მოხელისათვის შეუფერებელ ქცევას.

საქმის შესწავლისას, ჩვენ მოვახდენთ მათ მიერ ჩადენილი სავარაუდო სამართალდარღვევის იდენტიფიცირებას. მასალები უახლოეს დღეებში გადაეგზავნება შესაბამის ორგანოებს, სათანადო რეაგირების განხორციელების მოთხოვნით, - აცხადებს სახალხო დამცველი.

მიხეილ სააკაშვილი ბრიუსელში შეხვედრებს მართავს

საქართველოს პრეზიდენტი ბრიუსელში ევროკავშირის მაღალი რანგის წარმომადგენლებს ხვდება. პრეზიდენტის "ფეისბუკის" ოფიციალურ გვერდზე გავრცელებული ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი ევროკომისარს ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში შტეფან ფულეს შეხვდა. დიალოგის მთავარი თემა ევროკავშირთან სამომავლო ურთიერთობები და ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე მხარდაჭერის გააქტიურება იყო. გუშინვე საქართველოს პრეზიდენტი ევროკომისარს განვითარების საკითხებში ანდრის პიბალგსა და ევროპარლამენტის სოციალ-დემოკრატების პროგრესული ალიანსის პოლიტიკური ჯგუფის თავმჯდომარე ჰანეს სლობოდას შეხვდა. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება ქვეყნის ევროინტეგრაციის საკითხებს დაეთმო. აღინიშნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მიმდინარე მოლაპარაკებებში არსებული პროგრესი და უვიზო მიმოსვლის საკითხზე დაწყებული დიალოგის მნიშვნელობა.

გუშინვე მიხეილ სააკაშვილი ბრიუსელში ევროპის სახალხო პარტიის ყრილობას დაესწრო. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, სამიტის მუშაობაში ორმოცამდე ქვეყნის ლიდერები, ევროკავშირისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობითი დელეგაციები მონაწილეობენ.

შვილები გელა, მანანა და მადონა ნიორაძეები, რძალი ნათია ჯიმშელეიშვილი, შვილიშვილები ანი, ნინო და თორნიკე ნიორაძეები, დათო მესტვირიშვილი, ბესო მექვაბიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სალომე (ნინა) სეფისკვერაძე-ნიორაძე

პანაშვიდი: 29, 30 ივნისს; ვაკე, ტ. ტაბიძის ქ.?110;

გამოსვენება: 1 ივლისს, ზესტაფონი, სოფელი ძირულა.

ამომრჩევლის მოსყიდვის ახალი სქემა

ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებისას, მთავარმა პროკურატურამ უცხოეთიდან თანხების საეჭვო ვითარებაში გადმორიცხვის ფაქტები გამოავლინა. ამჯერად, საუბარია, ფონდ "ქომაგის" მიერ დარეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეების საბანკო ანგარიშებზე.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ამ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სახეზეა ამომრჩევლის მოსყიდვის ახალი სქემა, რომლის განხორციელებაშიც მონაწილეობს "ქართულ ოცნებასთან" დაკავშირებული, საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი ვანო ჩხარტიშვილი და მისი ოფშორული კომპანიები.

"თანხების გადმორიცხვა ხდებოდა რამდენიმე უცხო ქვეყნის მოქალაქისა და ოფშორული კომპანიების ანგარიშებიდან ისე, რომ თითოეული გადმომრიცხავი, თანხას ურიცხავდა 5, 10 ან მეტ თანხის მიმღებს, ფონდ "ქომაგში" დარეგისტრირებულ პირს. გადმომრიცხავი ფიზიკური პირები არიან ნატალია კოზიუპა, კატრინა პავლოვა, რიჩარდ ჯეი ტეილორი და სხვები, რომლებიც, ფინანსურად, ვანო ჩხარტიშვილზე დამოკიდებული პირები არიან და არანაირი კავშირი საქართველოსთან არ გააჩნიათ," - აცხადებენ მთავარ პროკურატურაში.

გუშინ, ცნობილი გახდა, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მოწმის სტატუსით დასაკითხად, პროკურატურაში გამოიძახეს თანხის მიმღები პირები.

"მათი დაკითხვა ჩატარდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. მოწმედ დასაკითხთა სურვილის შემთხვევაში, დაკითხვის პროცესს დაესწრებიან ადვოკატები," - ნათქვამია პროკურატურის მიერ გუშინ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

პროკურატურაში მიზანშეწონილად მიაჩნიათ, გამოიყენონ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და გამოძიების დასრულებამდე, სასამართლოს მიმართონ შუამდგომლობით, თანხების მიმღებთა საბანკო ანგარიშების დაყადაღების შესახებ.

"ეს ყველაფერი მიზნად ისახავს შესაძლო დანაშაულის თავიდან აცილებას, ასევე წინაასარჩევნო პროცესების დაცვას შესაძლო დანაშაულებრივი ჩარევისაგან და პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეების საარჩევნო უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფას," - მთავარ პროკურატურაში ამ არგუმენტით ხსნიან თანხის მიმღებთა საბანკო ანგარიშების დაყადაღების შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვას.

მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას გუშინვე გამოეხმაურა ფონდ "ქომაგის" ხელმძღვანელი ია მეტრეველი. მისი მტკიცებით, პროკურატურის ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ფონდ "ქომაგის" ერთ-ერთი ინტერესების დამცველის, შალვა შავგულიძის განცხადებით, პროკურატურას ამომრჩევლის მოსყიდვის დამადასტურებელი არანაირი ფაქტი არ აქვს.

აშშ ქართული დემოკრატიის მდგრადობაში ფულს დებს

მაგდა ლეკიაშვილი

ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი გუშინ ჟურნალისტებს შეხვდა. ელჩის განცხადებით, წინასაარჩევნო პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სადამკვირვებლო ჯგუფებს დაეხმარება. ამერიკის მთავრობა საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტსა და ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტს საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად აფინანსებს. როგორც ჯონ ბასი ამბობს, ახალი პროგრამის ამოქმედების შემდეგ ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის, დაახლოებით, 2 მილიონი დოლარი იქნება გაღებული. პროგრამა უზრუნველყოფს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტიდან გრძელვადიან დამკვირვებელთა სამი ჯგუფის ჩამოსვლას ივლისიდან ოქტომბრამდე, ასევე საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის გრძელვადიანი დამკვირვებლების ჩამოსვლას არჩევნებამდე სამი თვით ადრე. არჩევნების დღეს NDI-ს საქართველოში დამატებით - 20, IRI-ს დამატებით 30 დამკვირვებელი ეყოლება. გარდა ამისა, ამერიკა საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისთვის 750 ათას დოლარს გამოყოფს. ეს თანხა, ძირითადად, ქალი საპარლამენტო კანდიდატების შესაძლებლობების განვითარებას მოხმარდება, რათა მათ არჩევნებისთვის უკეთ მომზადება შეძლონ. ელჩმა აღნიშნული თანხის გამოყოფის საფუძვლად ჰილარი კლინტონის სიტყვები მოიყვანა, რომელმაც აღნიშნა, რომ პოლიტიკა უკეთესად კეთდება, თუ შეხედულებათა ფართო სპექტრია წარმოდგენილი. ბასის თქმით, საქართველოში, ევროპასთან შედარებით, ქალი კანდიდატების დაბალი მაჩვენებელია.

ამერიკელმა დიპლომატმა საქართველოში დემოკრატიის განვითარებაზეც გაამხვილა ყურადღება. როგორც მან აღნიშნა, საარჩევნო პროცესში მონაწილე ყველა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ უმნიშვნელოვანესია ის შთაბეჭდილება, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს ინსტიტუტებისა და პროცესების ლეგიტიმურობის შესახებ ექმნებათ. მისივე თქმით, ის ამოცანა, რომელიც საქართველოში საარჩევნო ციკლის წინაშე დგას, საქართველოს მოქალაქეთა თვალში დემოკრატიული პროცესებისა და ინსტიტუტებისადმი ლეგიტიმურობის გაზრდას ითვალისწინებს.

"არაერთხელ აღმინიშნავს და, ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც ღირს იმის გამეორება, რომ მიმდინარე საარჩევნო პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კონკრეტულ პირს და პარტიას არ უჭერს მხარს. დახმარების პროგრამები, რომლებსაც აშშ-ს მთავრობა საქართველოში ახორციელებს, მიმართულია ამ ქვეყნის მოსახლეობის ხელშესაწყობად, დემოკრატიული კულტურის გასაღრმავებლად, საქართველოს მოქალაქეებისთვის საშუალების მისაცემად, თავად უკეთ შეძლონ დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება და წარმართვა, რათა თავად აირჩიონ საკუთარი მომავალი," -განაცხადა ჯონ ბასმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტზე "მასთ ქერის" პრინციპის დანერგვის შესახებ. ჯონ ბასი მას მნიშვნელოვან, კონსტრუქციულ და წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს. როგორც აშშ-ს ელჩმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აღნიშნული კანონპროექტი ზრდის მოსახლეობისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს თანაბარი საარჩევნო ველის არსებობას. რაც შეეხება კანონის მოქმედების ვადებს, ეს, დიპლომატის თქმით, განხილვის თემაა და მის შესახებ მოლაპარაკებები უნდა გაიმართოს.

ჟურნალისტებმა დოპლომატს ბოლო პერიოდში ბიძინა ივანიშვილის გარშემო შექმნილი ვითარების შეფასებაც სთხოვეს. "გლობალ ტვ"-ს ანტენების დაყადაღების საკითხზე ჯონ ბასმა კონკრეტული კომენტარი არ გააკეთა.

"მიმდინარე საკითხებზე, რომლებიც კონკრეტულ ინციდენტებს ეხება, ჩვენ გვაქვს საუბარი სხვადასხვა მხარეებთან, მათ შორის - ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ცალკეულ ინციდენტებთან პარალელის გავლების გარეშე ვიტყვი, რომ მნიშვნელოვანია, საქართველოში პროცესები დემოკრატიულად წარიმართოს, უზრუნველყოფილი იყოს კონკურენტული გარემო, სადაც ყველა კანდიდატი შეძლებს საკუთარი შეხედულებების ქართველ ამომრჩევლამდე მიტანას. ხედვებს შორის განსხვავებების მიუხედავად, ველით, რომ პროცესები ძალადობის და ძალის გამოყენების გარეშე წარიმართება," - განაცხადა ჯონ ბასმა.

43 მლნ ავტომაგისტრლისთვის

საქართველოში სატრანსპორტო-საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება ქვეყნის მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მსოფლიო ბანკის დახმარებით აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტი ხორციელდება, რომლის ძირითადი მიზანია, ქვეყნის დედაქალაქი და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონები დასავლეთ საქართველოში მდებარე ინდუსტრულ, საპორტო, რეკრეაციულ და ტურისტულ ცენტრებს დააკავშიროს.

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას (IDA) შორის გუშინ ხელი მოეწერა დაფინანსების შეთანხმებას. ხელშეკრულება ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე რუისი-აგარის საგზაო მონაკვეთის რეკონსტრუქციისთვის მსოფლიო ბანკის მიერ 43 მლნ აშშ დოლარის გრძელვადიანი და შეღავათიანი ფინანსური რესურსის გამოყოფას ითვალისწინებს. შეთანხმებას საქართველოს მხრიდან ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ მოაწერა ხელი, მსოფლიო ბანკის მხრიდან კი რეგიონული დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა სამხრეთ კავკასიაში ელენე იმნაძემ.

«ჩვენ ხელი მოვაწერეთ მნიშვნელოვან ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებში, მსოფლიო ბანკი საქართველოს იაფ სესხს გამოუყოფს. 25-წლიანი სესხს 5-წლიანი საშეღავათო პერიოდით და დაბალი საპროცენტო განაკვეთით მივიღებთ. ზოგადად, პროექტი პირდაპირ გამომდინარეობს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, რადგან ის უზრუნველყოფს საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ურთიერთდაკავშირებას და აძლიერებს ქვეყნის სატრანზიტო და ლოჯისტიკურ პოზიციებს," - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ.

აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში დაგეგმილია რუისი-აგარის 11 კმ-იანი მონაკვეთის მოდერნიზაცია თანამედროვე სტანდარტების ოთხზოლიან ავტომაგისტრალად, ასევე აგარის 8 კმ-იანი ახალი შემოვლითი 4-ზოლიანი მაგისტრალის მშენებლობა. გზაზე აშენდება ხიდები, მოეწყობა სარკინიგზო გზაგამტარი, აშენდება 5 ორდონიანი სატრანსპორტო კვანძი, დაიგება ცემენტ-ბეტონის საფარი, მოეწყობა სანიაღვრე არხები.

«ინვესტიციები გზების ინფრასტრუქტურაში ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტი მნიშვნელოვნად გაზრდის მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის საგზაო სექტორში გაწეული დახმარების მოცულობას," - აღნიშნა მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა სამხრეთ კავკასიაში ელენე იმნაძემ.

ხელმოწერის ცერემონიალს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი ესწრებოდა. მისი განცხადებით, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის რამდენიმე სეგმენტზე მუშაობა ერთდროულად მიმდინარეობს. **«ხელმოწერილი დოკუმენტის ფარგლებში გამოყოფილი თანხებით საშუალება მოგვეცემა, გაგრძელდეს გზის მშენებლობა ხაშურის მიმართულებით, რაც მნიშვნელოვანია როგორც მოსახლეობის კომფორტულად მგზავრობისთვის, ისე ტვირთების გადაზიდვისთვის."**

საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ქვეყნის მთავარი საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობისთვის, როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, მსოფლიო ბანკთან და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან დღემდე უკვე გაფორმებულია დაახლოებით 950 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსი, რომლის ათვისებაც ავტომაგისტრალის მშენებლობის დასრულებამდე გაგრძელდება.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ნატო-ს ყურადღება არჩევნებისკენაა მიმართული

მაგდა ლეკიაშვილი

საქართველოს, ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით, ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრ ვერშბოუ ეწვია. დღეს ვერშბოუ თავდაცვისა და უსაფრთხოების ბათუმის კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას; გუშინ კი დედაქალაქში გამართა შეხვედრები.

ვერშბოუ საკანონმდებლო ორგანოს სტუმბრობდა, სადაც მას დავით ბაქრაძემ უმასპინძლა. შეხვედრის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ნატო-სთან საქართველოს თანამშრომლობა პრაქტიკულ ამოცანებსა და მექანიზმებზეა ფოკუსირებული. ბაქრაძის თქმით, შეხვედრაზე ნატო-საქართველოს თანამშრომლობის საკითხი დეტალურად განიხილეს. მხარეებმა რეგიონული უსაფრთხოებისა და ნატო-საქართველოს კომისიის მუშაობის დღის წესრიგის შესახებაც ისაუბრეს.

"პოლიტიკურად ყველაფერი ნათელია. ბუქარესტის ვალდებულება, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდება, ჩიკაგოს სამიტზე კიდევ ერთხელ დადასტურდა," - აღნიშნავს ბაქრაძე. თავის მხრივ, ალექსანდრ ვერშბოუმ განაცხადა, რომ ავღანეთის მისიაში და მთლიანად რეგიონის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს სამხედრო კონტრიბუცია მეტად მნიშვნელოვანია. მისი თქმით, საქართველოში დემოკრატიული რეფორმების შედეგად მიღწეული პროგრესი მომავალშიც უნდა გაგრძელდეს: **"საქართველოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია გამორჩეულია და მას ისტორიული მნიშვნელობა აქვს. საქართველომ დემოკრატიული კურსი უნდა გააგრძელოს, რომელიც მას საბოლოოდ ნატო-მდე მიიყვანს."**

ალექსანდრ ვერშბოუმ სექტემბერში რუსეთის მიერ დაგეგმილი სამხედრო სწავლების - "კავკაზ 2012"-ის შესახებაც ისაუბრა. როგორც ვერშბოუ ამბობს, მთავარია, ამან ვითარება არ დაძაბოს. წვრთნებს ნატო-ც ატარებს და რუსეთიც, თუმცა მნიშვნელოვანია, მათი ტრანსპარენტულობა. ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე იმედოვნებს, რომ მათ რუსი პარტნიორები წვრთნების შესახებ ინფორმაციას აუცილებლად მიაწვდიან.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოქტომბერში საქართველოში ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი ჩამოვა. ამის შესახებ ვერშბოუმ უკვე ვიცე-პერმიერ გიორგი ბარამიძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. როგორც ბარამიძე ამბობს, ალიანსის წარმომადგენელთან მან საქართველოსა და ნატო-ს ურთიერთობის ყველა ასპექტი განიხილა. მისივე თქმით, ჩიკაგოს სამიტი ნათელი დადასტურება იყო იმისა, რომ საქართველო ევროატლანტიკურ ალიანსში გაერთიანების გზას ადგას. ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილის საქართველოში ვიზიტიც ამის დასტურია.

"ოქტომბერში იგეგმება ნატო-ს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენის საქართველოში ვიზიტიც, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურებს საქართველოსთვის მხარდაჭერას ნატო-ში ინტეგრაციისთვის," - დასძენს გიორგი ბარამიძე.

თავის მხრივ ვერშბოუმ აღნიშნა, რომ შეხვედრაზე საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი შეაფასეს.

"საუბარი გვქონდა იმ საკითხებზეც, რომლებიც, ჩვენი აზრით, უნდა გადაწყდეს, რათა საქართველომ ნატო-ს სტანდარტები დააკმაყოფილოს. ამ საკითხებს შორის არის თავდაცვის სფეროში რეფორმების გაგრძელება, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება. აუცილებელია, გაგრძელდეს თავდაცვის რეფორმა," - განაცხადა ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილემ.

ალექსანდრ ვერშბოუ დახურულ კარს მიღმა ოპოზიციის წარმომადგენლებსაც შეხვდა. მოლაპარაკებას "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე, "თავისუფალი საქართველოს" ლიდერი კახა კუკავა, "თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი ირაკლი ალასანია, "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე მანანა კობახიძე და "რესპუბლიკელი" დავით უსუფაშვილი ესწრებოდნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ ნატო-ს მთელი ყურადღება საქართველოში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიისკენ არის მიმართული. ოქტომბრის არჩევნები კი მნიშვნელოვანი ტესტია ხელისუფლებისთვის. "ქართული ოცნების" წევრები ამბობენ, რომ პირადად მიაწოდეს ვერშბოუს ინფორმაცია იმ ქმედებების შესახებ, რომლებსაც ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ახორციელებს.

"ვერშბოუ დაგვპირდა, რომ ამ საკითხებზე სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ისაუბრებს, რათა ეს გამოსწორდეს," - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

საარჩევნო თემატიკა იყო მნიშვნელოვანი "ახლების" ლიდერისთვისაც. როგორც დავით გამყრელიძემ აღნიშნა, მნიშვნელოვანია დასავლეთის მხარდაჭერა მოახლოებული არჩევნების პირობებში, რათა დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს და ქვეყანამ მრავალპარტიული პარლამენტი მიიღოს. გამყრელიძის განცხადებით, ერთ-ერთი მთავარი თემა იყო ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციის პერსპექტივები. როგორც "მემარჯვენეების" ლიდერი აღნიშნავს, ჩიკაგოს სამიტის შემდეგ ითქვა, რომ მომავალი სამიტი, დიდი ალბათობით, გაფართოების იქნება.

"ლეიბორისტები" წამლებზე ფასების გაიაფების კანონპროექტს ამზადებენ

"ლეიბორისტული პარტია" "პირველადი მოხმარების მედიკამენტების შესახებ" კანონპროექტს ამზადებს. "news.ge" ინფორმაციით, ამის შესახებ გუშინდელ ბრიფინგზე პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ განაცხადა. მისი თქმით, ქვეყანაში მონოპოლიზებულია სააფთიაქო ქსელი და წამლებზე ფასები ხელოვნურად არის გაზრდილი.

ძაგანიამ ბრიფინგზე იმ წამლების სია წარადგინა, რომლებიც ქვეყანაში ყველაზე იაფ მედიკამენტებად ითვლება და აღნიშნა, რომ ეს წამლები ბევრად ნაკლები უნდა ღირდეს.

"მკვლელი სააკაშვილის და კრიმინალ-ოლიგარქ ივანიშვილის დაჯგუფებებს მონოპოლიზირებული აქვთ როგორც ფარმაცია, ასევე დაზღვევა. ერთ ხელში არსებობს ჰოსპიტალიზაცია. ანუ როდესაც პაციენტი მიდის ექიმთან, ის ექიმიც არის, წამლის გამყიდველიც და დამზღვევიც," - განაცხადა კახა ძაგანიამ.

მისივე თქმით, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აკრძალულია, ერთი პიროვნების ხელში იყოს დაზღვევა, ფარმაცია და ამბულატორია. ძაგანიამ აღნიშნა, რომ სწორედ ეს წარმოქმნის ქვეყანაში მონოპოლიზაციას.

"ალერგიის წამალი კლარიტინი 25 ლარი ღირს, ის ალერგეტიკმა ადამიანმა რეგულარუდად უნდა მიიღოს. წამოიდგინეთ ალერგეტიკი პენსიონერი, რომელსაც პენსია 90 ლარი აქვს, რამდენი უნდა დახარჯოს მხოლოდ ამ ერთ წამალზე?!" - გაანცხადა კახა ძაგანიამ.

მანვე დასძინა, რომ "ლეიბორისტული პარტია" ამზადებს კანონპროექტს "პირველადი მოხმარების მედიკამენტების შესახებ", რომელშიც განისაზღვრება ნუსხა გარკვეული სახის წამლებზე ზღვრული ფასებისა და აგრეთვე სოციალურად დაუცველებისთვის უფასოდ გაცემის შესახებ.

ნინო ბურჯანაძის პარტიამ ხელმოწერების შეგროვება დაიწყო

"დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანმა საქართველომ" საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. როგორც "ინტერპრესნიუსი" პარტიის გენერალური მდივნის განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება, დადგენილი წესის მიხედვით, მათ განცხადებით მიმართეს ცესკო-ს, საიდანაც შესაბამისი ინსტრუქციები მიიღეს და მხარდამჭერთა სიების შეგროვებასაც შეუდგნენ.

ვახტანგ ყოლბაიას განმარტებითვე, რადგან "დემოკრატიული მოძრაობა" არაკვალიფიციური პარტიაა, კანონის მიხედვით, საჭიროა 25 ათასი ხმა, რათა არჩევნების თარიღის გამოცხადების შემდეგ პარტიამ ცესკო-ში რეგისტრაცია გაიაროს.

პარტიას ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება, არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებს თუ ბლოკის სახით. ყოლბაიას განცხადებით, "დემოკრატიულ მოძრაობას" აქვს კონსულტაციები სხვადასხვა პარტიასთან, სადაც შესაძლო გაერთიანებაზე საუბრობენ.

"ჩვენ არასდროს გვითქვამს უარი არჩევნებში მონაწილეობაზე, უბრალოდ, ყოველთვის ვაფიქსირებდით, რომ საარჩევნო გარემო არ ვარგა და ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ვიბრძოდით და ვიბრძვით, რათა ეს გარემო გაუმჯობესდეს," - აღნიშნა "დემოკრატიული მოძრაობის" გენერალურმა მდივანმა.

ქდმ-ს შეთავაზება ქუთაისელმა სტუდენტებმა მოისმინეს

"ქრისტიან-დემოკრატების" ლიდერმა გიორგი თარგამაძემ გუშინ ქუთაისში დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ ეროვნული გამოცდების სიტემაში აღმოიფხვრა კორუფცია და სტუდენტს უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად ფულის გადახდა არ სჭირდება, თუმცა გააკრიტიკა ის, რომ უმაღლესში ჩარიცხვის შემდეგ ყველა ახალგაზრდას სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა არ ეძლევა.

"სამწუხაროდ, მეორადი მიზანი გადმოდის წინა პლანზე და ჩვენ ხელისუფლებას მთავარი ამოცანა ავიწყდება. ეროვნულ გამოცდებში კორუფციის აღმოფხვრა კარგია, თუმცა ახალგაზრდებისთვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების მიცემის საკითხი პრობლემად რჩება. განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით ქვეყანაში არის სერიოზული პრობლემა. ჩვენი წინადადება ითვალისწინებს საბაზისო წინასწარი პირობების შექმნას, რომლის შემდეგ სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილი არ მოწყდება სწავლის პროცესს," - ამბობს გიორგი თარგამაძე.

"ქრისტიან-დემოკრატების" სტატისტიკით, ქვეყანაში არსებული 100 000 სტუდენტიდან 10 000-ს ამ ეტაპზე სტუდენტის სტატუსი შეწყვეტილი აქვს. სტუდენტთა 3 პროცენტს 100-პროცენტიანი სასწავლო გრანტი აქვს, ხოლო სტუდენტთა მხოლოდ 50 პროცენტი ახერხებს სწავლის გადასახადის დადგენილ ვადებში დაფარვას. პარტიის ხედვით, სტუდენტებისათვის შეთავაზებული საბაზისო დაფინანსება სწავლის საერთო გადასახადის 50 პროცენტი იქნება.

საქართველოში წყალმოვარდნებია მოსალოდნელი

ორი დღის განმავლობაში საქართველოს პატარა მდინარეებში წყალმოვარდნები და ნიაღვრებია მოსალოდნელი. გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდროპროგნოზირების განყოფილების უფროს ქეთევან წიკლაურის განცხადებით, მდინარეების მოდიდებას მეტწილად დასავლეთ საქართველოში ელიან.

სინოპტიკოსების ინფორმაციით, უახლოესი 3-4 დღის განმავლობაში მთელ საქართველოში გრილი და წვიმიანი ამინდებია მოსალოდნელი.

"მასთ ქერის" დილემა „ქრისტიან-დემოკრატებისთვის"

პირველი გვერდიდან

"მადლობა პარლამენტს და ყველას ისეთი სტიმულის მოცემისთვის, რომ "მასთ ქერის" პრინციპის შემოღების მიუხედავად, სატელიტზე გასვლა ვეღარ გადავიფიქრეთ. ვეცდებით, სატელიტური ლიცენზია მაქსიმალურად მოკლე ვადაში ავიღოთ. რაც შეეხება სატელიტური მაუწყებლობის ღირებულებას, ეს კერძო მოლაპარაკების საგანია," - აღნიშნავს ჯანგირაშვილი.

"კავკასიის" საკითხის გარდა, პროექტში არა ერთი პუნქტი დაზუსტდა. მათ შორის, განისაზღვრა დარღვევის შემთხვევაში შესაძლო სანქციები.

ადმინისტრაციული სახდელის დადების საკითხს კომუნიკაციების ეროვნული კომისია თავისი ინიციატივით ან შესაბამისი მაუწყებლის განცხადების საფუძველზე განიხილავს და გადაწყვეტს. გადაწყვეტილების მიღების ვადა კი 48 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

კანონპროექტში ასევე დგინდება, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით საქალაქო სასამართლოში შეიძლება. საქალაქო სასამართლო საჩივარს ორი კალენდარული დღის ვადაში განიხილავს. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება, 48 საათის განმავლობაში სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდეს, რომელმაც გადაწყვეტილება საჩივრის შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში უნდა მიიღოს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პროექტის მიხედვით, საკაბელო ოპერატორი ვალდებულია, სამაუწყებლო არხების თანაბარი და არადისკრიმინაციული ფინანსური პირობებით მიწოდება უზრუნველყოს.

კანონპროექტში სესიაზე მე-2 მოსმენით გატანამდეც შევა გარკვეული ცვლილებები. როგორც პავლე კუბლაშვილი ამბობს, შუალედური არჩევნების საკითხიც დაზუსტდება. მისი თქმით, როდესაც არჩევნები ერთ კონკრეტულ საარჩევნო ოლქში დაინიშნება, ვალდებულება ამ არეალში მოქმედ საკაბელო ოპერატორებზე უნდა გავრცელდეს. არჩევნების მე-2 ტურზეც ეს პრინციპი იმოქმედებს.

იურიდიულმა კომიტეტმა სამოქალაქო სექტორისა და ოპოზიციის მოთხოვნებიდან მხოლოდ ერთადერთი საკითხი არ გაითვალისწინა. ხელისუფლება არ აპირებს, "მასთ ქერის" პრინციპის მოქმედების ვადა არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადების დღემდე გადაწიოს. ნორმა არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების წინა დღემდე განისაზღვრება.

პავლე კუბლაშვილის თქმით, ბუნებრივია, არის საკითხები, რომლებსაც საპარლამენტო უმრავლესობა საქართველოს კანონმდებლობის ლოგიკით მიუდგება. **"ექსტრანორმები შეიძლება, მხოლოდ საარჩევნო აგიტაციის შესახებ არსებობდეს. ასეთი ნორმები საქართველოში წინასაარჩევნოდ მოქმედებს, მათ შორის - უფასო სარეკლამო დრო. ახლა არჩევნებამდე 60-დღიან პერიოდში "მასთ ქერის" პრინციპი შემოგვაქვს. სხვა სიახლეს არ ვგეგმავთ,"** - აცხადებს პავლე კუბლაშვილი.

დღეს რიგგარეშე სხდომაზე პროექტს მე-2 და მე-3 მოსმენით მიიღებენ და საგაზაფხულო სესიაც დაიხურება. ვიცე-სპიკერ ლევან ვეფხვაძის აზრით, პროექტი ნაწილობრივ პოზიტიურია, თუმცა "ქრისტიან-დემოკრატები" რიგგარეშე სხდომაზე დაგეგმილი დებატების მიხედვით გადაწყვეტენ, მას მხარს დაუჭერენ თუ არა. **"უცნაური მდგომარეობაა. თუ მხარს დაუჭერ, ამით ემხრობი იმას, რომ "მასთ ქერის" პრინციპის მოქმედება მაშინ შეწყდეს, როცა ის ყველაზე მნიშვნელოვანია და ამას შეიძლება, დესტაბილიზაცია მოჰყვეს. მხარს არ დაუჭერ, გამოდის, რომ მიუღებელია ის ალტერნატივა, რომელიც ადამიანებს თუნდაც 2 თვის განმავლობაში მიეცემათ. ნამდვილად დილემური გადაწყვეტილების მიღება მოგვიწევს,"** - უთხრა "24 საათს" ლევან ვეფხვაძემ.

სიების კომისია სახელმწიფო უწყებებიდან ინფორმაციას ელოდება

პირველი გვერდიდან

ამასთან, სასურველია, ჩვენამდე მოვიდეს ინფორმაცია იმ პარალელური ქმედებებიდან, რომლებიც პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ჩაიფიქრეს და განახორციელეს," - ამბობს მამუკა კაციტაძე. სიების კომისიის თავმჯდომარე მზად არის, ითანამშრომლოს ყველა იმ გაერთიანებასთან, რომელმაც "კარდაკარი" საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში საკუთარი სახსრებით დაიწყო. ასეთია, მაგალითად, "ქართული ოცნება" და საზოგადოებრივი მოძრაობა "ამომრჩეველთა ლიგა". კაციტაძის თქმით, თუკი ეს ორგანიზაციები სიებში აღმოჩენილ ხარვეზებს კომისიას სწორედ 15 ივლისამდე გადაუგზავნიან, ამომრჩეველთა საერთო სიაში ჩასწორებები შევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერანაირი ცვლილება ვერ აისახება. საბოლოო სიებში ცვლილების შეტანის უფლება მხოლოდ სახელმწიფო კომისიას აქვს. გარდა ამისა, კაციტაძის თქმით, კომისია ინფორმაციას ძალოვანი უწყებებიდანაც ელოდება.

"სწორედ სახელმწიფო უწყებებიდან მიღებულ მონაცემებში იგულისხმება დიფერენცირებული ინფორმაციების მიღება სასჯელაღსრულების სამინისტროსგან. ერთი კატეგორიაა ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პატიმრები, რომლებსაც უფლება აქვთ, არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა. ამ ადამიანებს "კარდაკარის" მეთოდით, ცხადია, ვერ გადავამოწმებდით, მაგრამ სახელმწიფო უწყება მოგვაწვდის მათ სახელსა და გვარებს. არის მეორე კატეგორიაც - მძიმე დანაშაულისთვის დაკავებულები. ამ ადამიანებს კანონი არჩევნებში მონაწილეობის უფლებას არ აძლევს," - განაცხადა მამუკა კაციტაძემ "24 საათთან" საუბარში. კაციტაძე დასძენს, რომ კომისიის მუშაობის საბოლოო ფაზა ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებაა, რომელიც არაუგვიანეს პირველ აგვისტოს უნდა დასრულდეს.

პუტინს "სენატორთა" ახლებურად არჩევა სურს

სალომე ჯანიაშვილი

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა სახელმწიფო სათათბიროს ახალი კანონპროექტი წარუდგინა, რომელიც ფედერაციის საბჭოს ფორმირების ახალ წესს გულისხმობს. კანონპროექტის მიზანია პარლამენტის ზედა პალატის კომპეტენტურობის გაზრდა. ამ კანონპროექტზე რუსეთის პრეზიდენტმა განცხადება ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში, მასობრივი საპროტესტო აქციების დროს გააკეთა, როდესაც საზოგადოება დუმის არჩევნების შედეგებს აპროტესტებდა.

ახალი გეგმის მიხედვით, სენატორების დანიშვნა, ფაქტობრივად, გუბერნატორების არჩევნებთან ერთად მოხდება. დოკუმენტის თანახმად, გუბერნატორობის კანდიდატი უკვე საარჩევნო კამპანიის დროს იქნება ვალდებული, დაასახელოს სამი კანდიდატურა, რომელთაგან ერთი შემდგომ გახდება ფედერაციის საბჭოს წევრი. გამარჯვების შემდეგ ერთ-ერთს ამ კანდიდატთაგან გუბერნატორი თვითონ დანიშნავს თავის წარმომადგენლად ზედა პალატაში. პუტინის განცხადებით, სამი კანდიდატი იმისთვის არის საჭირო, რომ სენატორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს სხვა პირი ისევ ამ სამი კანდიდატიდან დაიკავებს. სენატორის არჩევის ეს წესი შეამცირებს ზედა პალატაში იმ რანგის შემთხვევითი ფიგურების მოხვედრის მაღალ რისკს, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ დასახელებულ რეგიონთან. ანუ, წესით, ფედერაციის საბჭოში ვეღარ უნდა მოხვდნენ პირები, რომლებსაც არასდროს უცხოვრიათ ან უმუშავიათ რეგიონში და მის პრობლემებს არ იცნობენ.

პუტინის განმარტებით, რეალურად ის პიროვნება, რომელსაც სურს, არჩევნებში გაიმარჯვოს, ამომრჩეველს წარუდგენს არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ მისი გუნდის ძირითად მოთამაშეებს. ამასთან ერთად, გუბერნატორობის კანდიდატი იღებს სრულ პოლიტიკურ და პირად პასუხისმგებლობას ფედერაციის საბჭოში წარმოდგენილ კანდიდატზე. "ფედერაციის ფორმირების ეს პროცესი იქნება უფრო მეტად დემოკრატიული, ხოლო თავად ზედა პალატა - უფრო რეგიონული," - განაცხადა პუტინმა ზედა პალატაში შეხვედრის დროს.

გარდა ამისა, კანონპრექტი სენატორად არჩევის მინიმალურ ასაკს 35-დან 21 წლამდე ამცირებს.

სენატორმა ლუდმილა ნარუსოვამ ახალი კანონპროექტის გამო შეშფოთება გამოთქვა და აღნიშნა, რომ სენატორების დანიშვნის ახალი წესს შეუძლია, ზედა პალატაში "დიდი თანხების მქონე კრიმინალთა" მოხვედრა გამოიწვიოს. პუტინმა საპასუხოდ აღიარა, რომ ამაზე ის თავადაც წუხს, მაგრამ გუბერნატორის არჩევა - ეს საჯარო სფეროა. მომავალი გუბერნატორისთვის "მთავარი მაინც არჩევნებში გამარჯვებაა და არა იმათი ამბიციების დაკმაყოფილება, ვინც მის საარჩევნო კამპანიას მარცხნიდან და მარჯვნიდან აფინანსებს."

არჩევნებზე დამკვირვებელთა ასოციაცია "გოლოს"-ის ექსპერტი ანდრეი ბუზინის აზრით, ეს არ არის პირველი კანონი, რომელმაც დასრულების პროცესში მნიშვნელოვნად შეიცვალა თავისი არსი და პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის უფრო მეტად მომგებიანი გახდა. ცოტა ხნის წინ მსგავსი რამ მოხდა გუბერნატორის არჩევნების კანონთან და ხმის მიცემის ერთიანი დღის დოკუმენტთან მიმართებაშიც. "მოცემული შემოთავაზება უფრო მეტად კოსმეტიკურ ზომებს წარმოადგენს. ამ სახით პრეზიდენტის ადმინისტრაცია სენატორების დანიშვნაში უფრო დიდ როლს ითამაშებს," - განაცხადა ბუზინმა.

ოპოზიციურმა პარტიებმა ეს შემოთავაზება ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე მიიღეს. "თუ ჩვენ გვინდა, რომ ფედერაციის საბჭოს წევრებმა მართლაც წარმოადგინონ თავიანთი რეგიონი, საუკეთესო ვარიანტია - პირდაპირი არჩევნები," - განაცხადა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ივან მელნიკოვმა, რაზეც პუტინმა უპასუხა, რომ ამისთვის აუცილებელი იქნება კონსტიტუციის შეცვლა. მისი განცხადებით, ფედერაციის წევრების პირდაპირ არჩევნებზე დიდი ხანია ფიქრობდნენ, მაგრამ კონსტიტუციაში არ წერია, რომ პალატის ფორმირება პირდაპირი ხმის მიცემის წესით უნდა მოხდეს. იმისთვის, რომ ეს პროექტი განხორციელდეს, აუცილებელია ცვლილება კონსტიტუციაში, რისი გაკეთებაც ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის.

ფედერაციის საბჭოს ფორმირების შესახებ ახალი დადგენილება ძალაში, სავარაუდოდ 2013 წლის 1 იანვრიდან შევა.

გარდა ამ კანონპროექტისა, პუტინმა მეორე კანონპროექტიც წარადგინა. ის ეხება დამატებითი ცვლილებების შეტანას ფედერალური კანონის მე-4 მუხლში, რომელიც ეხება ფედერაციის საბჭოს წევრებისა და სახელმწიფო დუმის დეპუტატების სტატუსს. ახალი კანონპროექტის თანახმად, დეპუტატების განთავისუფლება გუბერნატორების და საკანონმდებლო საბჭოს მიერ ვეღარ მოხდება. ეს მეორე კანონპროექტი ხელს შეუშლის "ორ დედაზე» წვრილმან ანგარიშსწორებას და მათ ვადამდე დათხოვნას ფედერაციის საბჭოდან, როგორც ეს შარშან, ფედერაციის საბჭოს მაშინდელი სპიკერის, ოპოზიციური "სპრავედლივაია როსიასა» ლიდერის სერგეი მირონოვის მიმართ მოხდა. ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ "ორ დედაში» იგულისხმებიან ლარისა პონომარიოვა და ლიუდმილა ნარუსოვა - აქტიური ოპოზიციონერების, ილია პონომარიოვისა და ქსენია სობჩაკის დედები. ორი კვირის წინ მათ ფედერაციის საბჭოში მხარი არ დაუჭირეს მიტინგების შესახებ ახალი სკანდალური კანონის მიღებას. ოპოზიცია ვარაუდობს, რომ ნარუსოვას და პონომარიოვას გაგდებას "სენატიდან» ხელისუფლება სექტემბერში შეეცდება.

ბიზნესი

Apple-ი და Samsung-ი ბაზრის გადანაწილებისთვის ბრძოლას აგრძელებენ

თინა შავაძე

Apple-ი და Samsung-ი მსოფლიოში პლანშეტებისა და სმარტფონების ყველაზე დიდი მწარმოებლები არიან.

კალიფორნიაში დამზადებული მთავრი პროდუქტების iPhone-ისა და iPad-ის მომგებიანმა გაყიდვებმა ამერიკული კომპანია Apple-ი მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ბრენდი გახდა. ამავე დროს, სამხრეთ კორეულმა კომპანიამ Samsung-მა Galaxy.V-ს ხაზის მეშვეობით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უახლოეს მომავალში პლანშეტებსა და სმარტფონებზე მოთხოვნა მხოლოდ გაიზრდება.

მზარდი საბაზრო პოტენციალიდან გამომდინარე, კომპანიები ერთმანეთის ჩაძირვის მსგავს ტაქტიკას ირჩევენ, რათა ბაზრის დიდი წილი ხელში ჩაიგდონ.

უმსხვილესი ტექნოლოგიური გიგანტები საპატენტო ომს რამდენიმე წელია, აწარმოებენ. სასამართლომ აშშ-ში წინასწარ შეაჩერა Samsung-ის ახალი პლანშეტური კომპიუტერის Galaxy Tab 10.1-ის გაყიდვები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

Samsung-ის პროდუქტზე აკრძალვა განაპირობა Apple-ის მიმართ გამოტანილმა განაჩენმა - იგი სასამართლომ გაამართლა და გადაწყვიტა, რომ მისი პატენტის უფლება დაირღვა.

როგორც «ბი-ბი-სი" იუწყება, მანამდე მოსამართლემ ამერიკული კომპანიის სარჩელი არ დააკმაყოფილა, თუმცა Apple-მა კონკურენტი პლანშეტის გაყიდვების აკრძალვა უკვე ზემდგომი ფედერალური სასამართლოებისგან მოითხოვა. ამ უკანასკნელებმა კი აღიარეს, რომ მოთხოვნა კანონიერია.

«Samsung-ს ბაზარზე კონკურენციის უფლება აქვს, თუმცა მხოლოდ კანონის ფარგლებში. ბაზრის გავსება მოწყობილობებით, რომლებშიც მოპარული პატენტები გამოიყენება, უკანონოა," - ნათქვამია სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელიც ძალაში მას შემდეგ შევა, რაც Apple-ი 2,6 მილიონ დოლარს გამოუყოფს სპეციალურ ფონდს იმ შემთხვევებისთვის, თუკი 30 ივნისს გამართულ პროცესზე სასამართლოს აკრძალვა უკანონოდ ჩაითვლება.

Apple-ის წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც შეცდომა უწოდეს Samsung-ის მიერ მათი «გადაწყვეტების ღია კოპირებას".

უმსხვილესი ტექნოლოგიური გიგანტები საპატენტო ომს რამდენიმე წელია, აწარმოებენ. Apple-ი Samsung-ის საკუთარი პროდუქციის დიზაინის კოპირებაში ადანაშაულებს. Samsung-ი კი, თავის მხრივ, ამერიკელ კონკურენტს უჩივის.

აგვისტოში ამ უკანასკნელმა ევროპაში Galaxy Tab 10.1-ის გაყიდვების აკრძალვას მიაღწია. პასუხად კი «სამსუნგმა" ევროპის ბაზრისთვის პლანშეტის გაუმჯობესებული ვარიანტი წარმოადგინა, რომელიც ამერიკულ პლანშეტს ნაკლებად ჰგავდა.

თუმცა Apple-მა კვლავ განაცხადა, რომ კონკურენტმა პატენტი დაარღვია.

Samsung-ი სმარტფონებისა და პლანშეტების ბაზარზე Apple-ის ერთ-ერთი მთავარი კონკურენტია. სამხრეთ კორეული კომპანიის აპარატები Android-ის პლატფორმაზე მუშაობს, რომელიც მსოფლიოში მობილური მოწყობილობების ყველაზე პოპულარული ოპერაციული სისტემაა.

Samsung-ი მობილური ტელეფონებისა და სმარტფონების გაყიდვებით მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა. პირველ კვარტალში 137 მლნ ერთეული აპარატი გაიყიდა. ამ სეგმენტში Apple-მა - მეორე, ხოლო Nokia-მ მესამე ადგილი დაიკავა. სამხრეთ კორეული კომპანიის წარმატების გასაღები განვითარებადი ბაზრების ათვისება გახდა.

სამხრეთ კორეის ელექტრონიკის მწარმოებელი Samsung-ის წმინდა მოგება 2012 წლის I კვარტალში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 81 პროცენტით გაიზარდა და 4,4 მილიარდი დოლარი შეადგინა.

კომპანიის ოპერაციულმა მოგებამ იანვარ-მარტში 98 პროცენტით მოიმატა და 5,15 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამ წარმატებას Samsung-მა ტელეფონების, სმარტფონებისა და პლანშეტური კომპიუტერების Galaxy Not-ის გაყიდვებით წყალობით მიაღწია.

აღნიშნულ პერიოდში კომპანია მობილურების გაყიდვის მაჩვენებელით მსოფლიო ლიდერი გახდა - 93,5 მლნ მოწყობილობა გაყიდა, ხოლო Nokia-მ მხოლოდ 82,7 ერთეულის გასაღება შეძლო.

Samsung-ი სმარტფონის ბაზარის ლიდერიც გახდა და Apple-ის კვლავ აჯობა. Samsung-მა პირველ კვარტალში 44 მილიონი ერთეული მოწყობილობა გაყიდა, ხოლო Apple-მა - 35,1 მლნ ერთეული.

«გაყიდვების მაჩვენებლის ზრდა განსაკუთრებით შთამბეჭდავია ისეთ განვითარებად ბაზრებზე, როგორიცაა ჩინეთი, სამხრეთი აზია და ახლო აღმოსავლეთი," - აცხადებს Samsung-ის ვიცე-პრეზიდენტი კიმ ჰუინგ ჯუნი.

როგორც Charlton Media Group-ის მფლობელმა ტიმ ჩარლტონმა «ბი-ბი-სი"-ის განუცხადა, «მხოლოდ Apple-ი და Samsung-ი იყენებენ ნებისმიერ იურიდიულ მეთოდს იმისთვის, რომ პლანშეტებისა და სმარტფონების ამ ორმა უმსხვილესმა მწარმოებელმა მსოფლიო ბაზარზე ერთმანეთის პოზიციები შეასუსტონ."

ირანულ ნავთობს სანქციების სრულად ამოქმედების დრო დაუდგა

თინა შავაძე

ირანის ნავთობის საუკეთესო მყიდველებმა - აზიის ქვეყნებმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მიერ სანქციების დაწესების შემდეგ, ბოლო ხუთი თვის განმავლობაში, ირანიდან ნავთობის იმპორტი დღეში ნახევარი მილიონი ბარელით შეამცირეს. სანქციები სრულად 28 ივნისსა და 1 ივლსს უნდა ამოქმედდეს.

«როიტერის" ინფორმაციით, ირანის ექსპორტის ნაკადი ყველაზე მეტად აზიაში დაეცა. გუშინ თეირანმა პირველად აღიარა, რომ მისი ნავთობის ექსპორტი 30 პროცენტით მკვეთრად შემცირდა. სანქციების დაწესებამდე ირანიდან ნავთობის მიწოდების ნორმალური მოცულობა 2, 2 მლნ ბარელს შეადგენდა.

თუმცა ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო სხვა შეფასებას აკეთებს. მისი მონაცემებით, თეირანიდან ნავთობის ექსპორტი მოცულობა, მიმდინარე წლის დასაწყისიდან, 40 პროცენტით არის შემცირებული.

ამასობაში, 28 ივნისს აშშ დაამტკიცებს სანქციებს იმ ქვეყნების სახელმწიფო ბანკებსა და სხვა დაწესებულებებზე, რომლებიც ირანთან ნავთობით ვაჭრობაში მონაწილეობენ. მსგავსი სანქციები აქამდეც მოქმედებდა, მაგრამ ისინი მხოლოდ კერძო ფინანსურ დაწესებულებებს ეხებოდა.

მანამდე აშშ-მ სანქციების სიიდან 18 სახელმწიფო ამოიღო - მათ შორის იაპონია, გერმანია და დიდი ბრიტანეთი, რადგან მათ მნიშვნელოვნად შეამცირეს ირანული ნავთობის იმპორტი.

მოსალოდნელია, სანქციები ჩინურ სახელმწიფო ორგანიზაციებს შეეხოს, მიუხედავად იმისა, რომ პირველ კვარტალში ქვეყანამ ირანიდან მიღებული ნავთობის მოცულობები 30 პროცენტით შეამცირა.

ახალი ზომები გულისხმობს, რომ ორგანიზაციები, რომლებზეც ისინი გავრცელდება, გაირიცხებიან ამერიკის შეერთებული შტატების საბანკო სისტემიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან.

ეკონომისტების მონაცემებით, თეირანზე განხორციელებულმა ეკონომიკურმა ზეწოლამ ირანში წლიური ინფლაცია 60 პროცენტამდე გაზარდა.

მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა 2012 წლის აპრილის ბოლოსთვის უკვე ჩაანაცვლეს ირანული ნავთობის 70 პროცენტი.

ცნობისათვის - დასავლეთი ირანის წინააღმდეგ სანქციებს ისლამური რესპუბლიკის მიერ ბირთვული პროგრამის წარმოების გამო აწესებს და მისგან აღნიშნული პროგრამის შეწყვეტას მოითხოვს. ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა ირანს ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობაში ადანაშაულებენ, თუმცა თავად თეირანი ამ ბრალდებებს უარყოფს.

თურქეთი უსაფრთხოების ზომებს აძლიერებს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ერდოღანი თურქეთის გენერალური შტაბის უფროსთან ერთად

თავად თურქულმა ტელეარხებმა გაავრცელეს ინფორმაცია, მეზობელ ქვეყანასთან სასაზღვრო პერიმეტრზე ტანკებისა და ათობით სამხედრო სატვირთო მანქანების კოლონის გადაადგილების თაობაზე, რასაც თან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებიც ემატება. მობილიზაცია კი ჰატაის პროვინციაში ხდება. თავდაპირველად გაუგებრობად, შემდგომ კი სიტუაციის დაძაბვასთან ერთად, ღია აგრესიად შეფასებულმა სიტუაციამ მეზობელ ქვეყნებს შორის ურთიერთობები უკიდურესად დაძაბა. დამასკო ამ დრომდე ირწმუნება, რომ თურქული თვითმფრინავი სირიის საჰაერო სივრცეში შეიჭრა, რის გამოც ჩამოაგდეს კიდეც. ანკარა კი დაჟინებით ამტკიცებს, რომ სადაზვერვო თვითმფრინავი უკვე გამოსული იყო სირიის ფარგლებიდან და საერთაშორისო საჰაერო სივრცეში ჩამოაგდეს. **რასაკვირველია, თურქეთი ომის წამქეზებლებისა და პროვოკატორების ანკესზე არ წამოეგება, ნუ ღელავთ. თუმცა, ჩვენ არც იმათ რიგებს განვეკუთვნებით, რომლებიც უდრტვინველად იტანენ აგრესიას და გულხელდაკრეფილნი ელოდებიან მოვლენების განვითარებას, როდესაც ჩვენს თვითმფრინავებს საერთაშორისო საჰაერო სივრცეში ესხმიან თავს,"** - განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა.

მეზობელ ქვეყნებს შორის ურთიერთობების გამწვავება უეცრად არ მომხდარა, ოდესღაც კეთილმეზობლურმა ურთიერთობებმა რღვევა ჯერ კიდევ შარშან დაიწყო. ჯერ იყო და, ანკარამ 15 000-ზე მეტი სირიელი ლტოლვილი შეიფარა არაბულ რესპუბლიკაში არეულობის დაწყების დღიდან, რასაც ოფიციალური დამასკოს ეჭვებიც დაემატა იმის შესახებ, ხომ არ ამარაგებს თურქეთი სირიელ ამბოხებულებს იარაღით? ბოლოს კი ურთიერთობებზე უარყოფითი გავლენა უკვე თურქეთის სადაზვერვო თვითმფრინავის ჩამოგდებამ და სამხედრო ვერტმფრენისთვის გახსნილმა ცეცხლმაც იქონია.

სასაზღვრო პერიმეტრზე სამხედრო ტექნიკის განლაგება თურქეთმა ისკენდერუნისა და დიარბექირის ბაზებიდან გადმოსროლილი არსენალით დაიწყო. თურქეთის პერმიერ-მინისტრის რეჯეპ ტაიპ ერდოღანის განცხადებით, სირიის მხრიდან ნებისმიერი სამხედრო ელემენტი, რომელიც კი საზღვარს მიუახლოვდება, პოტენციურ სამიზნედ იქნება აღქმული. "სირია ღია და დაუფარავ საფრთხეს წარმოადგენს," - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. სამხედრო ტექნიკით დატვირთული კოლონები უკვე ჰატაის პროვინციაში, ქალაქ რეიჰანლისთანაც გამოჩნდა. სწორედ ამ რაიონშია განთავსებული თავშესაფარი 33 ათასი სირიელი ლტოლვილისთვის.

რაც შეეხება თავად სირიაში არსებულ მდგომარეობას, მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ გახსნილ ცეცხლს და შეიარაღებულ ამბოხებულთა წინააღმდეგობას დამასკოს ცენტრში მომხდარი აფეთქებაც დაემატა. სახელმწიფო ტელეარხის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ასაფეთქებელი მოწყობილობა მართლმსაჯულების სასახლესთან არსებულ ავტოსადგომზე ამოქმედდა. უცნობია დაშავებულთა რაოდენობა, კონკრეტული ცნობები არც დაღუპულთა შესახებ ვრცელდება.

სამაგიეროდ, უკვე სრულიად თვალსაჩინო გახდა ის ფაქტი, რომ ვერ მოხერხდა სირიაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის საგანგებო წარმომადგენლის კოფი ანანის პირველად შემუშავებული ექვსპუნქტიანი გეგმის განხორციელება, სწორედ ამიტომ, უშიშროების საბჭომ ახალი გეგმის შემუშავება გადაწყვიტა. თითქოს ოპტიმისტური ცნობების გავრცელების მიუხედავად, ახალი გეგმის შეთანხმების თაობაზე იმედები მალევე დაემსხვრა საერთაშორისო თანამეგობრობას. კოფი ანანის ახალ გეგმებთან დაკავშირებით მათ ცივი წყალი გადაასხა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებამ. სერგეი ლავროვის თქმით, ოფიციალური მოსკოვი მხარს არ უჭერს იმ გეგმას, რომლის განხილვაც 30 ივნისს იგეგმებოდა. დიპლომატების ცნობებით, კოფი ანანმა სირიის კონფლიქტის რეგულირებისთვის საერთაშორისო საზოგადოებას ახლოაღმოსავლურ სახელმწიფოში გარდამავალი მთავრობის შექმნა შესთავაზა, რომელშიც ჩართული იქნებოდნენ როგორც ასადის მომხრეები, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლები. ეს ყველაზე მისაღები ვარიანტი უნდა ყოფილიყო როგორც კონფლიქტის მონაწილე მხარეებისთვის, ასევე სამოქალაქო ომის დასრულებით დაინტერესებული სახელმწიფოებისთვის, მით უფრო, რომ თავად პრეზიდენტიმა ბაშარ ალ-ასადმაც აღიარა ქვეყანაში სამოქალაქო ომის არსებობა. მართალია, დოკუმენტში პირდაპირ არ იყო მითითებული სახელით და გვარით, მაგრამ ნაქთვამი იყო, რომ გარდამავალ მთავრობაში არ უნდა ყოფილიყვნენ ის პირები, ვინც კონფლიქტის რეგულირებას შეაფერხებდა. მათ შორის იგულისხმებოდა თავად სირიის პრეზიდენტიც. რუსეთმა კი თავისი პოზიცია - თუ რატომ არ უჭერს მხარს გარდამავალი მთავრობის ფორმირებას - საკმაოდ «საინტერესო» არგუმენტით ახსნა. **"ის ფაქტი, რომ გარკვეული ფორმულირებები და იდეები, რომლებიც წარმოდგენილი იყო სავარაუდო დასკვნითი დოკუმენტის პროექტში, თავისუფლად ჟონავს მედიაში, დიპლომატიისადმი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებად მიმაჩნია,"** - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

მედიისთვის კი ცნობილი გახდა ის ფაქტი, რომ კოფი ანანს სერგეი ლავროვი ტელეფონითაც ესაუბრა, მაგრამ შინაარსს რუსეთის საგარეო უწყება არ ახმაურებს. დღეს კი სერგეი ლავროვთან სირიის საკითხს რუსეთში ჩასული ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი განიხილავს. სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის ვიქტორია ნულანდის თქმით, ჰილარი კლინტონი, სირიის კონფლიქტის რეგულირების გეგმის გარდა, რუს კოლეგასთან შეხვედრაზე დამასკოსთვის რუსული შეიარაღების მიწოდების საკითხზეც ისაუბრებს.

რაც შეეხება სამხედრო ვერტმფრენების თემაზე დაწყებულ დიპლომატიურ სკანდალს რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, მოსკოვის პირველი მცდელობა, საზღვაო გზით მიეწოდებინა სირიისთვის ადრე შესყიდული და ახლად გარემონტებული "მი 25" კლასის ვერტმფრენები, წარუმატებლად დასრულდა, მაგრამ როგორც რუსეთის თავდაცვის უწყების წყაროებზე დაყრდნობით თავად რუსული პრესა საუბრობს, ვერტმფრენების დამასკოსთვის მიწოდების საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა და ეს შესაძლოა, საჰაერო გზით განხორციელდეს.

"მაგნიტსკის კანონი" სხვა ქვეყნებზეც გავრცელდება

თამთა კახაძე

ოთხშაბათს ამერიკის სენატის საერთაშორისო კომიტეტმა მოიწონა "მაგნიტსკის" კანონი, რომელიც სავიზო სანქციების დაწესებას გულისხმობს იმ პირების მიმართ, რომლებსაც ვაშინგტონი 2009 წელს იურისტ სერგეი მაგნიტსკის მკვლელობაში მონაწილედ მიიჩნევს (მაგნიტსკის თემა კარგად არის ცნობილი ჩვენი მკითხველისთვის). ოფიციალურ მოსკოვს ამერიკის სენატის პროფილური კომიტეტის ამ გადაწყვეტილებაზე საკმაოდ მწავე რეაქცია ჰქონდა.

"პასუხი სიმეტრიული იქნება. ეს ჩვენი არჩევანი არ არის. შესაძლოა, ასევე ასიმეტრიული პასუხიც. ჩვენ არა მარტო შეშფოთებულები ვართ, არამედ ვწუხვართ, რომ საღი აზრის საწინააღმდეგოდ, "მაგნიტსკის" კანონზე მუშაობა გრძელდება. ამ ნაბიჯების კონტრპროდუქტიულობის შესახებ რუსეთმა არაერთხელ აცნობა აშშ-ს," - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგეი რიაბკოვმა. დიპლომატის თქმით, კიდევ არსებობს ვითარების შემობრუნების შანსი და ამერიკელ პარტნიორებსა და კანონმდებლებს ის სწორედ ამისკენ მოუწოდებს.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერმა ვალენტინა მატვიენკომ ამერიკის სენატის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მიღებულ "მაგნიტსკის" კანონს სხვა ქვეყნის საქმეებში ჩარევა უწოდა. "ასეთ არამეგობრულ ნაბიჯს არც ერთი ქვეყანა არ გადადგამს, რომელიც საკუთარ თავს პატივს სცემს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არა ერთი ვარიანტი გააჩნია, თუ როგორც უპასუხოს მსგავს ნაბიჯს," - აღნიშნა მატვიენკომ. მისი აზრით, ამ კანონის მიღებით ის ძალები არიან დაინტერესებულნი, რომლებიც "რუსეთ-ამერიკას შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის ჩამოყალიბებას ეწინააღმდეგებიან."

ოთხშაბათს ამერიკის სენატის კომიტეტმა მოიწონა "მაგნიტსკის კანონის" საკუთარი, მკაცრი ვარიანტი, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ აშშ-ს კარის ჩაკეტვას მაგნიტსკის მკვლელობაში მონაწილეთათვის, არამედ "დამნაშავეთა" სიის გამოქვეყნებას და მათი საბანკო ანგარიშების გაყინვას. სენატორები ამტკიცებენ, რომ სიის საჯაროდ გამოქვეყნების გარეშე საბანკო ანგარიშების გაყინვა ვერ მოხერხდება. თუმცა გუშინ თეთრმა სახლმა ამერიკის სენატის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მიღებულ "მაგნიტსკის კანონში" ორი მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა და ამით მისი ნაწილობრივი "შერბილება" მოახერხა. პირველია ის, რომ ადამიანის უფლებების დარღვევაზე პასუხისმგებლობა, რუსეთის გარდა, სხვა ქვეყნის მაღალჩინოსნებსაც დაეკისრებათ და მეორე, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მიიღო უფლება, არ გამომჟღავნდეს იმ ჩინოვნიკების ვინაობა, რომლებიც შავ სიაში იქნებიან შეყვანილნი.

დოკუმენტის აღნიშნული ვარიანტი 27 ივნისის ვარიანტისაგან განსხვავდება, სადაც საუბარი იყო, რომ კანონი მხოლოდ "რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებების დარღვევას უკავშირდებოდა და სხვა ქვეყნებზე არ ვრცელდებოდა."

რუსეთის გარდა, ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელზეც "მაგნიტსკის კანონი" გავრცელდება, შესაძლოა იყოს აზერბაიჯანი. ბოლო პერიოდის განმავლობაში ოფიციალური ბაქო ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის გამო არაერთხელ გააკრიტიკეს. ივნისის დასაწყისში სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში ვიზიტისას, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ამ პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება აზერბაიჯანში ყოფნისას დაუთმო.

თუმცა, რუსეთი არც ამ "შერბილებული" ვარიანტით არის კმაყოფილი და ისევ საპასუხო ნაბიჯებით იმუქრება.

სერბეთის მთავრობის ჩამოყალიბება სოციალისტს დაევალა

სერბეთის პრეზიდენტმა ტომისლავ ნიკოლიჩმა კაბინეტის შექმნა სოციალისტური პარტიის ლიდერს ივიცა დაჩიჩს დაავალა. ეს მას შემდეგ გამოცხადდა, რაც ცნობილი გახდა, რომ მოხერხდა სამთავრობო კოალიციის ჩამოყალიბება სოციალისტების, თვით ნიკოლიჩის "სერბეთის პროგრესული პარტიისა" და "სერბეთის გაერთიანებული რეგიონების" მონაწილეობით. კოალიციას კაბინეტის შესაქმნელად დრო 5 სექტემბრამდე აქვს, მაგრამ ისინი აცხადებენ, რომ ამდენი დრო არ დასჭირდებათ. კაბინეტის დამტკიცების შემთხვევაში ივიცა დაჩიჩი პრემიერ-მინისტრის პოსტს მიიღებს. მთავრობას რთული ეკონომიკური პრობლემები აქვს მოსაგვარებელი, კერძოდ, შესამცირებელია ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალი, გასამართია მოლაპარაკებები საერთშორისო სავალუტო ფონდთან, რომელმაც ეკონომიკური პარამეტრების გაუარესების გამო მილიარდევროიანი ტრანში შეუჩერა.

მაისში, საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ ივარაუდებოდა, რომ სამთავრობო კოალიციას შექმნიდნენ სოციალისტები, დაჩიჩის მეთაურობით, და ვადამდე გადამდგარი პრეზიდენტის, ბორის ტადიჩის "დემოკრატიული პარტია". ამის შესახებ განცხადებები საჯაროდაც კეთდებოდა. თუმცა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ტადიჩის დამარცხების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. თავიდან "ყოფილი ნაციონალისტის" ტომისლავ ნიკოლიჩის "სერბეთის პროგრესულ პარტიასთან" ალიანსის შეკვრა არავის სურდა, თუმცა, როგორც ვხედავთ, ნიკოლიჩმა მაინც მოახერხა ორი პარტიის გადაბირება. მოვლენების ასეთ განვითარებას შეშფოთებით ადევნებს თვალს ევროკავშირიც. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ბორის ტადიჩი პრემიერის პოსტს მაინც მიიღებდა და ნიკოლიჩს დააბალანსებდა.

პაკისტანელი გენერალი ნატო-ს "თალიბანის" შეჩერებისკენ მოუწოდებს

გუშინ პაკისტანის არმიის მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ გენერალმა აშფაქ ფერვეზ კიიანმა ამერიკელ გენერალ ჯონ ალენს შეხვედრისას ავღანეთის ტერიტორიიდან პაკისტანში "თალიბანის" შემოჭრის შესახებ შესჩივლა. "სი-ენ-ენ"-ის ცნობით, კიიანმა ნატო-ს სთხოვა, შეაჩერონ შეიარაღებული მებრძოლები, რათა მათ ქვეყნის საზღვარი არ გადაკვეთონ. პოლკოვნიკ ვასიმ აჰმედით თქმით, მსგავსი ქმედება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას გაუმჯობესებს. ვაშინგტონსა და ისლამაბადს შორის დაძაბული ურთიერთობის შენარჩუნებას პაკისტანის ტერიტორიაზე ამერიკელების მიერ განხორციელებული საჰაერო ეირიშები უწყობს ხელს. ნატო-ს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო ძალებს აღნიშნულ შეხვედრასთან დაკავშირებით ამ დროისათვის კომენტარი არ გაუკეთებიათ. აჰმედის თქმით, ალენმა კიიანს განუცხადა, რომ ტერორისტების წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია თანამშრომლობა. პაკისტანელი პოლკოვნიკი აღნიშნავს, რომ ალენი ამ საკითხზე მოლაპარაკებებს ავღანეთის ხელისუფლებასთან გამართავს.

დონეცკის აეროპორტმა მედვედევის თვითმფრინავი არ მიიღო

გუშინ უკრაინის ქალაქ დონეცკის აეროპორტმა რუსეთის პრემიერ-მინისტრის დმიტრი მედვედევის დელეგაციის მიღებაზე უარი თქვა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღნიშნულ ქალაქში ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალის მიმდინარეობას დააბრალა, სადაც, როგორც ცნობილია, რუსეთის ნაკრები მონაწილეობას ვეღარ იღებს. როგორც აღნიშნავენ, მედვედევი არ გაბრაზებულა და ფეხბურთელების შესახებ იხუმრა კიდეც, რომ მათ პრემიერის გეგმები ჩაშალეს. უკრაინის ვიცე-პრემიერმა ბორის კოლესნიკოვმა აღნიშნა, რომ მედვედევის დელეგაციას მიღებაზე უარი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე უთხრეს. ადრე უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლაი აზაროვმა რუსი კოლეგა 27 ივნისს დონეცკში ევრო-2012-ის ნახევარფინალზე მიიპატიჟა. როგორც ბორის კოლესნიკოვმა განმარტა, დონეცკში მედვედევის დელაგაციის მიღება იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ რუსეთის ნაკრები ნახევარფინალში გასვლას შეძლებდა.

ირანი სამხრეთ-კორეული საქონლის იმპორტის შეწყვეტას აპირებს

ირანმა განაცხადა, რომ სამხრეთ კორეიდან ყველა ტიპის პროდუქციის იმპორტს შეაჩერებს. ეს გადაწყვეტილება მოჰყვა სამხრეთ კორეის განცხადებას, რომლის თანახმადაც, ეს ქვეყანა ირანისაგან ნავთობის იმპორტს წყვეტს. ოფიციალური სეულის განცხადებით, ივლისის დასაწყისისათვის ქვეყანა ირანისაგან ნავთობის იმპორტს სრულიად შეწყვეტს. "სი-ენ-ენ"-ის ცნობით, ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სამხრეთ კორეაში ირანის ელჩმა აჰმედ მასუფარმა ერთ-ერთ სააგენტოს განუცხადა, რომ თეირანმა "შესაძლოა სამხრეთ კორეისაგან ყველა ტიპის პროდუქციის იმპორტის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღოს."

ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის, რომ ევროკავშირმა და ამერიკამ ირანის წინააღმდეგ სანქციები დააწესეს, რათა ქვეყანამ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა შეაჩეროს. ამ სანქციებთან მიერთებისკენ ისინი სხვა სახელმწიფოებსაც მოუწოდებენ (გაეროში რუსეთისა და ჩინეთის გამო შესაბამისი რეზოლუცია არ გადის). დასავლეთს სწამს, რომ ირანს ეს პროგრამა ბირთვული იარაღის შესაქმნელად სჭირდება; ირანი კი აცხადებს, რომ პროგრამას მხოლოდ მშვიდობიანი დანიშნულებით გამოიყენებს.

მოამზადა თამთა კახაძემ

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲐᲚᲢᲐᲛᲘᲠᲐ

ᲑᲔᲚᲐ ᲩᲔᲙᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ



ვახო მუსხელიშვილი "ბაია გალერეაში"

ვახო მუსხელიშვილი გამოფენა "ალტამირა", რომელიც "ბაია გალერიაში" მიმდინარეობს, გალერისტისა და მხატვრის ერთობლივი პროექტის განხორციელების კიდევ ერთ მცდელობას წარმოადგენს. შემკვეთი ამ შემთხვევაში ბაია წიქორიძეა, ხოლო შემსრულებელი - ვახო მუსხელიშვილი, ემიგრანტი მხატვარი, რომელიც 21 წელია ამერიკის ქალაქ სიეტლში ცხოვრობს. ბაია წიქორიძის პროექტის მიხედვით "კულტურა და მხატვარი", რომელიც ითვალისწინებს კულტურის ისტორიიდან რაიმე თემის შერჩევას და მის თანამედროვე ინტეპრეტაციას, უკვე ვიხილეთ ვახო ბუღაძის გამოფენა კენტავრის სიყვარულის თემაზე. ამჟამად ჩვენს წინაშეა ალტამირას გამოქვებულის მხატვრობის ინსპირაციით შექმნილი ნამუშევრები.

ბაია წიქორიძისთვის ვახო მუსხელიშვილი საინტერესო გახდა ფიგურატული ნამუშევრებით, რომელიც ამ ორი წლის წინ მის გალერეაში გამოიფინა. გალერისტის თქმით, ხელოვნებაში ძალიან საინტერესოა სხეულის თემა, რომელსაც ყველა მხატვარი თავისებურად აკეთებს, ვახო მუსხელიშვილის ნამუშევრების ნახვისას კი მას უნებურად გაუჩნდა ასოციაციები ალტამირასთან.

ვასო მუსხელიშვილს კი პირველყოფილი ადამიანების ნახატების გააზრება კიდევ ერთხელ მოუხდა რამდენიმე წლის წინ, სიეტლის სკოლაში ხელოვნების ისტორიაში ლექციების კითხვისას: "შეიძლება ითქვას, ეს ულტრათანამედროვე ხელოვნებაა, რომელიც შექმნილია პრიმიტიული ადამიანების მიერ და უდიდესი შენაძენია კაცობრიობისთვის. თანამედროვე მხატვრებმა ეს პრინციპები ხელახლა აღმოჩინეს და მე-20 საუკუნის დასაწყისში დიდხანს მიჰყვებოდნენ ამ ხედვას. ჩემი მიზანი იყო, უფრო ხელშესახები გამეხადა ის სამყარო, მეგრძნო ის ხედვა, რაც ჰქონდა პირველყოფილ მხატვარს. ეს კი ჩემგან პრიმიტივიზმს კი, არა, უდიდეს პროფესიონალიზმსა და ცოდნას მოითხოვდა. გამოქვაბულთა მხატრობაში იმდენად ესტეტიკურ კონტურთან, ფერწერულ სიბრტყესთან და დინამიკასთან გვაქვს საქმე, რომ თანამედროვე მხატვარს მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება, რათა ის უშუალობა გადმოსცეს, რასაც პირველყოფილი მხატვარი აღწევს. მინდა ვთქვა, რომ ძალიან ბენეფიტური იყო ჩემთვის ამ თემაზე მუშაობა, ბევრი სიახლე მომცა, სხვაგვარი ხედვა გამიხსნა".

სირთულე, რის დაძლევასაც მხატვრები წლობით ესწრაფიან, ესაა ფიგურათა მოძრაობის დინამიკა, ფიგურათა შორის დამოკიდებულება, კომპოზიციური განაწილება, რაც პირველყოფილი ადამიანების მხატვრობისაა დამახასიათებელი და რის გამოც ხდება იგი ფასეული, როგორც ხელოვნების ნიმუში და არ რჩება მხოლოდ კაციობრიობის განვითარების მაჩვენებლ საფეხურად. აქვე აღსანიშნავია ისიც, რამდენადაც ცხოველთა გამოსახულებები დახვეწილია და მაღალმხატვრული, იმდენად ფორმალურია ადამიანთა გამოსახულებანი, რამდენიმე კონტურული მინიშნებით შექმნილი. ჩანს, პირველი მხატვრებისთვის ერთმანეთზე მეტად ცხოველებზე დაკვირვება იყო საინტერესო, როგორც მათთვის სასიცოცხლო საკვები ობიექტის, რომელზეც ნადირობდნენ და თაყვანს სცემდნენ.

ვახო მუსხელიშვილისთვისაც ალტამირას თემაზე მუშაობისას, რასაკვირველია, ინსპირაციის წყარო ცხოველები იყო, რომლებიც ისევე დინამიურები და ემოციურები არიან, როგორც ალტამირას ცხოველები. მათი სიდიდე და ძალა არ გვაშინებს, სპილოები იქნება თუ ბიზონები, არც ცხენები არიან მქროლავი რაშები, მხატვარმა მოახერხა, ყველაფერს გარდასული დროის სევდა ჰქონოდა, და გვიჩენს შეგრძნებას რომ ეს ცხოველები ჩვენსკენ კი არ მოდიან, არამედ ბრუნდებიან იქ, საიდანაც გამოიძახეს. რაც შეეხება ადამიანებს, აქ ვახო მუსხელიშვილი თანამედროვე მხატვრია, საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ცოდნით, რომელიც მას თბილისის სამხატვრო აკადემიაში თავისმა პედაგოგმა ჯუნა მიქატაძემ გადასცა. ასე რომ, აქ წარმოდგენილი ადამიანთა სხეულები რენესანსული სუნთქვით ფეთქავენ, თუმცა, პირველყოფილი სევდა და რაღაცნაირი დაბნეულობა მათაც თან ახლავს. ერთადერთი ფერი, რომელიც ამ გარფიკულ ნამუშევრებში შემოდის, კვლავაც ალტამირასთან დიალოგშია. მოშვინდისფროა ყვავილი, რომელსაც პირველყოფილი მამაკაცი ზურგს უკან მალავს, და კიდევ ფონი, ცხოველებგამოსახულ კედელზე, რომელიც შეგვიძლია ჩამავალ მზის სხივებსაც შევადაროთ და გამოქვაბულში დანთებული ცეცხლის ანარეკლსაც.

გამოფენა "ალტამირა" 75 გრაფიკულ ნამუშევარს აერთიანებს, და მხატვარმა მათზე ბოლო ერთი წლის მანძილზე იმუშავა.

რაც შეეხება ამერიკაში ცხოვრებას და ამერიკულ ინსპირაციებს, ვახო მუსხელიშვილი მიიჩნევს, რომ ემიგრაციაში ცხოვრებამ მას ბრძოლისუნარიანობა შესძინა, რაც ძალიან ჯანმრთელი გრძნობაა და რაც უცხო და დიდ ქვეყანაში თავის დამკვიდრებაში ეხმარება. ძნელია, აჩვენო უზარმაზარ ქვეყანას, რომ გამორჩეული ხარ და მათ ყურადღებას იმსახურებ, ხოლო ამავე დროს, საკუთარ ქვეყანას უთხრა, რომ ტყუილ-უბრალოდ არ წასულხარ და რომ ამ წლებს უქმად არ ჩაუვლია. ვახო მუსხელიშვილის ბოლო ორი წლის თბილისური გამოფენები სწორედ ამის მცდელობაა.

ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲛ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ 2013 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲝ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ



მიუხედავად ამისა, ისევ ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციაზე დაყრდნობით იუნესკომ ბაგრატის საკითხის განხილვა 2013 წლისთვის გადადო, კონკრეტულად იუნესკოს 37-ე კომიტეტზე განსახილველად, რომლის გამართვის თარიღი და პერიოდი 6 ივლისს, 36-ე კომიტეტის სესიის დასრულებისას გაირკვევა.

საქართველო იუნესკოსთან ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტს 2004 წლიდან განიხილავს. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს ძეგლის შემორჩენილი ნაგებობის დასაცავად საქართველოს კონსერვაცია და მინის კონსტრუქციაში ჩასმა ურჩია, თუმცა აღნიშნული პროექტი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა და ხელისუფლებისთვის მისაღები არ იყო. ხელისუფლება და საპატრიარქო აცხადებდნენ და დღესაც აცხადებენ, რომ ქვეყნისთვის ტაძრის სრულფასოვან აღდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც გაერთიანებული საქართველოს სიმბოლოს აღდგენას და როგორც ტაძრის აღდგენას, სადაც სრულფასოვნად ჩატარდება წირვა-ლოცვა. იუნესკომ 2006 წლიდან რამდენჯერმე გამოაქვეყნა სარეკონსტრუქციო სამუშაოების შეჩერების რეკომენდაცია, 2010 წელს ძეგლი გადაიტანა ე.წ. "წითელ სიაში", როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოწერის საშიშროების მქონე ძეგლი. სარეკონსტრუქციო სამუშაოების გაგრძელების შემდეგ უკვე მიმდინარე წელს გამოიცა იუნესკოს მიმოხილვა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბაგრატის ტაძარი მიმდინარე სამუშაოების შემდეგ ვეღარ აკმაყოფილებს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მოთხოვნებს, რაკი კარგავს ავთენტურობას.

აღნიშნულ დოკუმენტს მწვავე საზოგადოებრივი დებატები მოჰყვა. ბაგრატის კონსერვაცია თუ რესტავრაცია ხელახლა გახდა აქტუალური თემა, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოების ამ ეტაპზე კონსერვაციის იდეა მეტისმეტად დაგვიანებულია. რამდენიმე დღის წინ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შედგა კულტურის მინისტრისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის პრესკონფერენცია, სადაც გამოჩნდა, რომ ნიკოლოზ რურუა ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის თემის გარშემო ატეხილ ვნებათაღელვას გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების ინტერესის სფეროდ აღიქვამს, ხოლო ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა პროექტის პრეზენტაციის შემდეგ აღნიშნა, რომ ტაძრის სრულფასოვანი რეკონსტრუქცია საქართველოს ხელისუფლების, ეკლესიისა და საზოგადოების გადაწყვეტილებაა.

ყველაზე საინტერესო გახლდათ ანდრეა ბრუნოს, იუნესკოს მიერ ორი წლის წინ საქართველოსთვის რეკომენდირებული რესტავრატორის განცხადება, რომელმაც აღნიშნა, რომ მისთვის მოულოდნელი გახლდათ იუნესკოს დასკვნა-მიმოხილვა და რომ ის მთლიანად ეთანხმება პროექტს. ამიტომაც იმედი აქვს, რომ იუნესკო გაითვალისწინებს, რამდენად მნიშვნელოვანია ამ ძეგლის რეკონსტრუქცია ერისთვის და რომ ეს ძეგლი არა მხოლოდ კულტურული ღირებულების მატარებელია, არამედ ერისთვის სულიერ სიმბოლოს წარმოადგენს.

გაითვალისწინებს თუ არა იუნესკო ერთი კონკრეტული ერის "სულიერი სიმბოლოების" ღირებულებასა და მნიშვნელობას, როდესაც მისი მიზანია მსოფლიო მასშტაბის კულტურული ღირებულებების დაცვა და პოპულარიზაცია, ძალიან რთული სათქმელია. ეს 2013 წელს, მის 37-ე სხდომაზე გამოჩნდება. თუმცა ისიც საფიქრალია, რა მოხდება საქართველოში მანამდე. დაუცდის თუ არა ერი იუნესკოს რჩევებს, თუ საკუთარი სულიერი სიმბოლოს ახალ ვერსიას მანამდე დაასრულებს? და მეტიც, არის კი იუნესკოსთვის ამჟამინდელი თითქმის ბოლომდე რეკონსტრუირებული ახალი ბაგრატი საინტერესო თემა? შეიძლება ითქვას, ყველა ამ კითხვაზე პასუხი გაცემული გვაქვს. მაგრამ მოვლენები უახლოეს მომავალში პასუხებს დაგვიდასტურებენ.

საქართველოს ნაკრებს ახალი ნატურალიზებული კალათბურთელი ჰყავს

პირველი გვერდიდან

ზემოთ ჩამოთვლილი 18 კალათბურთელით საქართველოს ნაკრები ავსტრიაში 17 ივლისს შეიკრიბება. მანამდე კი, 1 ივლისიდან, ნაკრების წევრები თბილისში ფიზიკურად მოემზადებიან.

ნაკრებში ახალი ნატურალიზებული კალათბურთელია.

იგორ კოკოშკოვისა და მისი ასისტენტების არჩევანი ამერიკელ კორი ფიშერზე შეჩრდა. საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცედურა დაწყებულია და ფიშერი რამდენიმე დღეში საქართველოს პასპორტს მიიღებს.

კორი ფიშერი
დაბადების წელი: 1988
სიმაღლე: 185 სმ
წონა: 91 კგ
2011 წლამდე გამოდიოდა ვილანოვას უნივერსიტეტში (NCAA)
2011-2012 ანტალია (თურქეთი)
"ანტალიაში" - 30 თამაში, 34.2 წუთი, 17.2 ქულა, 4.4 პასი, 3.5 მოხსნა, 1.1 ჩაჭრა
ორქულიანიბის პროცენტი - 48.8
სამქულიანების პროცენტი - 38.6
საჯარიმოების პროცენტი - 84.9

ნაკრებს მიღმა დარჩნენ ნიკა ცქიტიშვილი, გიორგი გამყრელიძე და ვლადიმერ ბოისა. ახალ კალათბურთელსა და ნაკრებს მიღმა დარჩენილ ქართველებზე კომენტარი გააკეთა კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა ბესიკ ლიპარტელიანმა: "ახალი მოთამაშის მოსაპოვებლად დიდი შრომა გავწიეთ. ცხრა კალათბურთელთან გვქონდა მოლაპარაკება. ბოლოს შევჩერდით კორი ფიშერზე, რომელიც მალე საქართველოს პასპორტს მიიღებს. რაც შეეხება ნაკრებს მიღმა დარჩენილ გიორგი გამყრელიძეს, ნიკა ცქიტიშვილსა და ვლადიმერ ბოისას, საქართველოს ღირსების დაცვისთვის მათ დიდ მადლობას გადავუხდი, ბოისას კი ღირსეულ გაცილებას მოვუწყობთ".

კორი ფიშერი

ლუბა გოლოვინა ლონდონის ბატუტს იმედით უყურებს

გიგა გურასაშვილი

ლუბა გოლოვინამ ყურადღება მაშინ მიიპყრო, როდესაც ბატუტზე ხტომაში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ოქროს მედლები მოიპოვა ახალგაზრდებში. მერე პეკინის ოლიმპიურ თამაშებზეც იასპარეზა და ჯერ კიდევ გამოუცდელმა მეექვსე ადგილი დაიკავა.

ლუბა დღეს ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება და, როგორც თვითონ ამბობს, უპრობლემოდ შეძლებს ფინალში ასპარეზობას, მერე კი პეკინის ოლიმპიური თამაშების შედეგის გაუმჯობესებასა და მედალზეც იფიქრებს.

სამი წლის იყო, როდესაც ტანვარჯიშზე მიიყვანეს - ცელქი იყო და მშობლებს უნდოდათ, რომ ენერგია სადმე დაეხარჯა. მშობლები ძველი ტანმოვარჯიშეები არიან. მამა - ვლადიმერ გოლოვინი - მისი პირადი მწვრთნელია.

ხუთი წლისამ პირველი საშეჯიბრო ნათლობაც მიიღო. დღეს უკვე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონია ახალგაზრდებში. პეკინის ოლიმპიურ თამაშებამდე ორჯერ გაეჯიბრა დიდებს. ოლიმპიურ ბატუტზე ჯერაც ახალგაზრდამ გაუწია დიდებს მეტოქეობა და, ბევრისთვის მოულოდნელად, მეექვსე ადგილი დაიკავა. შედეგის გაუმჯობესებაზე ფიქრობს, მაგრამ, ჰგონია, რომ, პეკინისგან განსხვავებით, ლონდონში გაცილებით ძნელი იქნება ასპარეზობა. განსაკუთრებულ მეტოქეობას ჩინელებისა და კანადელებისგან ელის. ინგლისელის სახითაც ძლიერი მეტოქე ეყოლება.

"ლონდონში გაცილებით დიდი კონკურენცია იქნება, ვიდრე პეკინში იყო. შედეგი მარტო სპორტსმენზე არ არის დამოკიდებული. ბევრ რამეს ბატუტიც წყვეტს. საქმე ის არის, რომ ჩვენი სავარჯიშო ბატუტი გერმანულია, ლონდონში კი ჩინურ ბატუტზე მოგვიწევს ასპარეზობა. ჩინურსა და გერმანულ ბატუტს შორის ის სხვაობაა, რომ ჩინური ბადე უფრო მაღლა გაგდებს. თუ მასზე შეიძლება ერთი ან ორი წელი ივარჯიშო, გერმანული ორჯერ უფრო გამძლეა. ჩვენთან გერმანული ფირმის ბატუტებია".

ლუბამ ლონდონის ოლიმპიური ლიცენზია წლეულს, იანვარში, 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ლონდონშივე დაიპაკუთრა.

"პატარა ვიყავი. გამოცდილება არ მქონდა. მსაჯები არ მიცნობდნენ და არ მწყალობდნენ. ამის ერთ-ერთი კარგი მაგალითი იყო 2012 წლის ევროპის ჩემპიონატი, სადაც მსაჯთა უსამართლობის გამო მეხუთე ადგილი დავიკავე. არადა, როდესაც ჩანაწერი ნახეს, აშკარა იყო, რომ ქულები დამაკლეს. ესეც რომ არა, დიდებში უფრო რთულია ასპარეზობა. ასე რომ, ყველაფრის თავიდან დაწყება მომიხდა. აქედან გამომდინარე, პეკინიდან ლონდონამდე შედეგების მხრივ ბევრს ვერაფერს მივაღწიე. სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ბატუტზე ხტომაში ლიცენზიები გაცილებით რთულად თამაშდება. საამისოდ მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატი და ერთი ტესტ-ტურნირია. მიზნის მისაღწევად ორი შანსი გვაქვს.

...ულიცენზიოდ ყოფნას ძალიან განვიცდიდი. შანსი რამდენჯერმე მქონდა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ვერ გამოვიყენე. მსოფლიო ჩემპიონატზე ისეთი შეცდომა დავუშვი, რომელსაც ჩვეულებრივ ვარჯიშებზე არ ვუშვებ. ხტომისას ლეიბს შევეხე, რაც მსაჯებმა არ მაპატიეს. მერე წელის ტრავმა მივიღე - მეხუთე მალა ამომივარდა და ამან უფრო გამანერვიულა. იანვარში ლონდონის სალიცენზიო ტურნირზე წასვლას საერთოდ არ ვაპირებდი, მინდოდა, მკურნალობა დამეწყო, მაგრამ ეს ერთადერთი შანსი იყო ლიცენზიის მოსაპოვებლად. შეიძლება ითქვას, თავი ვაიძულე, ლიცენზიისთვის მებრძოლა. ტრავმა იქაც მაწუხებდა, მაგრამ საკუთარ თავს უკან დახევის საშუალება არ მივეცი. თანაც, არც სასურველ ფორმაში ვიყავი. არადა, ეს შეჯიბრება ბოლო შანსი იყო ლიცენზიის მოსაპოვებლად. ბატუტთან გამაყუჩებლებით გავედი. კარგია, რომ შედეგს მივაღწიე. რვა საუკეთესოში მეხუთე შედეგით მოვხვდი".

ახლა უკვე ლიცენზიანტი "ლაგუნა ვერეს" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ტანვარჯიშის დარბაზში ემზადება. ლონდონამდე მინსკში გააგრძელებს ვარჯიშს, სადაც სწორედ ის ბატუტები აქვთ, რომელზეც ლონდონში მოუწევს ასპარეზობა.

"ფინალში გასვლაზე არც ვნერვიულობ. სავალდებულო პროგრამაში (ერთგვარი კვალიფიკაცია ფინალში გასასვლელად) ყოველთვის მოწინავეთა შორის ვარ, რაც ფინალში ადვილად გასვლის საშუალებას მაძლევს. მედლის ბედი მეორე დღეს წყდება, სადაც მთავარი იქნება, კომბინაცია შევასრულო. ამ შემთხვევაში მედლის მოპოვების შანსიც მექნება".

საყვარელი გუნდისთვის მილიონერებიც იხდიან

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ იტალია-ინგლისის მეოთხედფინალს, კერძოდ, პენალტების სერიას, უფრო კონკრეტულად კი - იტალიელთა უკანასკნელ პენალტს, რომელსაც დიამანტი ასრულებდა.

ამ დროს კარს უკან, ტრიბუნაზე, საინტერესო რამ მოხდა. ალბათ, ხვდებით, რაზეცაა საუბარი. პენალტის შესრულებისას ერთმა ინგლისელმა ფანმა შორტი ჩაიხადა და ასე ცდილობდა დიამანტისთვის ხელის შეშლას. იტალიელმა არ ააცილა, შარვალჩახდილი ფანის ფოტო კი მთელმა მსოფლიომ ნახა - მეორე დღესვე ფოტო "ფეისბუქზე" გავრცელდა.

რა თქმა უნდა, ბევრს აინტერესებდა, ვინ იყო კვიმატი ფანი. ბრიტანელმა ჟურნალისტებმა არ დაიზარეს და მცირე მოკვლევის შემდეგ მისი ვინაობა დაადგინეს. თურმე ნუ იტყვით, ეს უსირცხვილო გულშემატკივარი სურეის საგრაფოში მცხოვრები მილიონერი ტომი ოლირი ყოფილა.

"იმ წუთში ინგლისს მხარდაჭერა სჭირდებოდა და მე გავაკეთე ყველაფერი, რაც კი შემეძლო, - უთხრა გამოცემა Mail Online-ის ჟურნალისტს ოლირიმ, - არა მგონია, რომ დიამანტიმ ეს დაინახა. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი კი ჩემი მეზობელი ჯონ ტერი იყო".

ოლირის სურეის საგრაფოში ჯონ ტერის მეზობლად 6 მილიონ გირვანქად შეფასებული სახლი აქვს. მისტერ ოლირი ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო კომპანიის მფლობელი ყოფილა. პენალტების სერიის წინ კი მას და მის მეგობარს მთელი სტადიონის გარბენა დასჭირდათ, რათა იმ კარს უკან აღმოჩენილიყვნენ, რომელშიც პენალტები უნდა დაერტყათ. ახლა თავადაც იცით, რა მიზნით გაირბინა კიევის ოლიმპიური სტადიონის ერთი ბოლოდან მეორისკენ ბრიტანელმა მილიონერმა.

თამაშს ოლირის მეუღლე კლარაც ადევნებდა თვალს (მისის ოლირი 6-მილიონიან სახლში მატჩის ტელერეპორტაჟს უყურებდა). მილიონერის მეუღლე ორსულადაა - ერთ თვეში ტყუპებს ელოდება. ტელერეპორტაჟის დროს კლარას ტომის "გმირობა" არ შეუმჩნევია, თუმცა, ფოტო ნახა და თანამეცხედრეს საქციელი მოუწონა.

ეტო'ოს ციხეში ჩასმით დაემუქრნენ

მახაჩყალის "ანჟის" კამერუნელ ფორვარდს სამუელ ეტო'ოს გადასახადების დამალვაში ედება ბრალი.

ესპანელი სამართალდამცავები ეჭვობენ, რომ ეტო'ომ 3,5 მილიონამდე დოლარის გადასახადი არ გადაიხადა.

გამოძიების ინფორმაციით, ეტო'ომ უნგრეთსა და ესპანეთში ორი საეჭვო ფირმა დააარსა, რათა "ბარსელონასა" და ფირმა Puma-სგან მიღებული თანხებიდან გადასახადები დაემალა. ესპანური კანონმდებლობის თანახმად, თუ ბრალი დაუდგინდა, 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა და 21 მილიონი დოლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა მოუწევს.

ვან მარვეიკმა თანამდებობა დატოვა

ჰოლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბერტ ვან მარვეიკმა თანამდებობა დატოვა. ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციასთან დადებული კონტრაქტის თანახმად, ვან მარვეიკს ნაკრებში 2016 წლამდე უნდა ემუშავა, თუმცა, მწვრთნელსა და ფედერაციას შორის მიღწეული შეთანხმების შემდეგ ჰოლანდიის ნაკრების თავკაცის პოსტი ვაკანტური გახდა.

ფედერაციისა და მწვრთნელის შეხვედრაზე ვან მარვეიკმა ჰოლანდიური ფეხბურთის ჩინოსნებს გადასცა ეგრეთ წოდებული შავი სია, რომელშიც ის ფეხბურთელები შევიდნენ, ვინც მწვრთნელს მუშაობაში ხელს უშლიდნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვან მარვეიკთან ერთად ნაკრების დატოვება მოუწევთ კლას-იან ჰუნტელაარს, ხალიდ ბულაჰრუზს, იორის მატიისენს, ჯონ ჰეიტინგას და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რაფაელ ვან დერ ვარტს.

"ბარსელონაში" აბიდალი აღიარეს

"ბარსელონას" გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად ერიკ აბიდალი დასახელდა.

უკანასკნელ პერიოდში ფრანგმა მცველმა ფეხბურთისა და კლუბის დიდი სიყვარული გამოავლინა, რაც შეძლებისდაგვარად დაუფასდა. აბიდალი სიმსივნეს ებრძვის და უკვე ორი ოპერაცია გაუკეთეს.

უკანასკნელი ორი სეზონის "წლის ბარსელონელი" გახდა არგენტინელი ლიონელ მესი.

Muse ლონდონის თამაშებს გახსნის

ბრიტანული როკ ჯგუფის Muse-ის სიმღერა Survival (გადარჩენა) ჯგუფისვე ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, ლონდონის ოლიმპიური თამაშების ოფიციალურ სიმღერად დასახელდა. თავდაპირველად კომპოზიცია ცოცხლად გაიჟღერებს თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიაზე. მერე და მერე კი სიმღერას არაერთხელ დაატრიალებენ სპორტსმენთა დაჯილდოვების ცერემონიაზეც. ბრიტანული ტრიოს კომპოზიცია იქნება უმთავრესი თემა იმ ტელეარხებისთვისაც, რომლებიც ოფიციალურად გადასცემენ ოლიმპიურ თამაშებს. კომპოზიციის თემა კი არის სპორტსმენის სწრაფვა გამარჯვებისკენ.

გემრიელი იტალია

ზურაბ თალაკვაძე

ბუფონი ფინალშია

იტალიამ კარგი ფეხბურთით დაიწყო, აკრიფა, გერმანია დაშალა და ფინალშია.

იტალიამ კიდევ ერთი გემრიელი პიცა გამოაცხო. ცისფერი გუნდის მთავარი გურმანი, მზარეული ჩეზარე პრანდელი ბევრს ფუსფუსებდა და სამზარეულოდან სასიამოვნო, მსუყე არომატი წამოვიდა. იმ პიცაში ყველაფერი ერთმანეთს ავსებდა, პრანდელიმ კიდევ ერთი გემრიელი კერძი შეიტანა ევროპის ჩემპიონატის მენიუში და კარგი ბიჭები ფინალში გადიან. 6 წლის წინ იტალიამ მარჩელო ლიპის ჭადრაკით მოაგვარა პრობლემები. ლიპი ფეხბურთის გარი კასპაროვი იყო. ეს იტალია მზარეული პრანდელის გუნდია. ჩეზარეს თამაშის წინ ესიზმრება ახალი პიცის რეცეპტი და ეგრევე სამზარეულოში შერბის. პიცა გემრიელი და მსუყე უნდა იყოს. იტალიის ნაკრებიც გემრიელი და მსუყეა. იტალიამ გერმანიას 2:0 ჩაუტარა. გადაიღე და გასინჯე, თორემ გაცივდება და უგემური იქნება.

გერმანიაც უგემური, ცივი შნიცელი იყო.

ფინალში პრანდელის ესპანელი დეგუსტატორები ჰყავს. ინიესტამ და სერხიო რამოსმა პიცა მენიუდან დიდი ხნის წინ ამოაგდეს, არ უყვართ. ესპანეთი სხვა თემაა. იქ ფეხბურთის ჯინ ჰეკმანი, სენიორ ვესენტე დელ ბოსკე ტვიდის პიჯაკში ისვენებს, სიგარას ქაჩავს და მორგან ფრიმენს ტექსტურ შეტყობინებებს უგზავნის. დელ ბოსკემ კროსვორდების შევსება დაამუღამა და ვისენტე ნიჭიერი კაცია. ეს მერე იქნება.

გერმანიამ გერმანულად ირბინა. აგრესიით, ცოტა ინდივიდუალიზმით და ფანტაზიით. იოზილი ხატავდა და იმ პეიზაჟში მთავარი თემა, ფერები არ ჩანდა. ხედირა ცენტრში ყველაფერს ვერ იგებდა და დიდი ბიჭი ნერვებზე აითხარა. გომესი ერთხელ ახტა, მერე ვეღარ გაინძრა და მარიო იოახიმ ლიოვის ზურგჩანთაში ჩაუშვეს. ლიოვმა თერთმეტ კაცში მოქნილი როისი და ბებერი კლოზე შეაგდო. შეიცვალა ორი გვარი და არ შეცვლილა გერმანია. იტალიაც არ შეცვლილა. შნიცელი გასაცხელებელი იყო, ლიოვი - აზრზე მოსაყვანი.

პრანდელის პიცაში გემრიელი ნაჭრები იყო.

გემრიელია ბუფონი. თმის ხუთი სამაგრით, ტყავის აბადოკით და პიტბულის თვალებით.

გემრიელია კასანო. სიცილიური ბაჯბაჯით და თავისი, ცოტა ქუჩური ინტელექტით.

გემრიელია კიელინი. არ ვიცი, რატომ და ეს პრანდელიმ იცის. ჯორჯოც კარგი ჩასაკბეჩია.

გემრიელია ბონუჩი. კიელინისთან ერთად არის გემრიელი. როგორც ოთხი ყველის პიცა. აი, «ლოკალინოში», ყველაზე მაგარ ქართულ პიცერიაში რო აცხობენ.

გემრიელია ბალძარეტი. პრანდელიმ იტალიას თავისი ვენსან კასელი მიუყვანა და ბიჭმა პიცას გემო და არომატი არ გაუფუჭა.

გემრიელია დე როსი. რომაული პარმეზანი. პიცაში სულ საჭიროა. დე როსი ასრულებს.

გემრიელია მარკიზიო, რომელიც «იუვენტუსის» პიცაშიც აუცილებელი ინგრედიენტია და მზარეული პრანდელიც სულ იყენებს. მარკიზიომ ცხელი ხედირა გააცივა.

გემრიელია მოხუცი დი ნატალე. რაღაც მომენტში შეიძლება გასაცხელებელი გახდეს და ჩეზარე ამას დამალავს. დი ნატალეს ასაკი პიცას არ გააფუჭებს.

გემრიელია ბარძალი. ისიც «ოთხი ყველის» ერთ-ერთი ნაჭერია. კიელინისთან და ბონუჩისთან ერთად არის გემრიელი.

მაგარი გემრიელია პირლო.

სხვებიც გემრიელები არიან.

ცალკე თეფშზე დევს ერთი ნაჭერი, რომელიც პიცაში ვერ ჯდება და სულ ცხელია. მარიო ბალოტელი, რომელმაც შეიძლება იტალიურიც არ იცის და როცა პრანდელი ცვლიდა, ვერ გაიგო, მწვრთნელს რა უნდოდა. პრანდელის გაეცინა და მარიომ მანამდე გერმანიას ორჯერ აარტყა.

ლიოვი კარგი მწვრთნელია. უბრალოდ, გერმანულ მანქანას მექანიკოსი ქოქავს და იტალიურ სამზარეულში ჭკვიანი მზარეული მუშაობს. მზარეულმა მექანიკოსს პიცა შეუტანა და ლიოვი არომატმა დააბნია. გერმანელების ტვინი არ მუშაობდა და ლიოვმა იტალია ვერ გაშიფრა. როგორც მაშინ, ადრე, ექვსი წლის წინ. იმ იტალიაში მეტი იმპროვიზატორი იყო და იმ იტალიამ გერმანიას გერმანიაში, მსოფლიოს ნახევარფინალში 2:0 დაუსვა. ლიოვი იტალიას ვერ უგებს. ლიოვს იტალიური არ ესმის და ეს სამუდამოა. ხდება ხოლმე.

ევროპის ჩემპიონატზე იტალიამ კარგი ფეხბურთით დაიწყო, მერე აკრიფა, გერმანია დაშალა და უკვე ფინალშია. იტალიამ კიდევ ერთი გემრიელი პიცა გამოაცხო. ცისფერი გუნდის მთავარი გურმანი, მზარეული ჩეზარე პრანდელი ამ პიცაზე ბევრს ფუსფუსებდა და სამზარეულოდან სასიამოვნო, მსუყე არომატი წამოვიდა. იმ პიცაში ყველაფერი ერთმანეთს ავსებდა, პრანდელიმ კიდევ ერთი გემრიელი კერძი შეიტანა ევროპის ჩემპიონატის მენიუში და კარგი ბიჭები ფინალში გადიან.

6 წლის წინ იტალიამ მარჩელო ლიპის მექანიკური აზროვნებით მოაგვარა პრობლემები. ეს იტალია მზარეული პრანდელის გუნდია. ჩეზარეს თამაშის წინ ესიზმრება ახალი პიცის რეცეპტი და ეგრევე სამზარეულოში შერბის. პიცა გემრიელი და მსუყე უნდა იყოს. იტალიის ნაკრებიც გემრიელი და მსუყეა. იტალიამ გერმანიას 2:0 ჩაუტარა. გადაიღე და გასინჯე, თორემ გაცივდება და უგემური იქნება.

ფინალში იტალია და ფანტაზია ირბენენ.

ფრაუ მერკელს შავმა ბიჭმა აწყენინა.

Euro 2012. ½ ფინალი

გერმანია-იტალია 1:2

გოლები: 0:1 ბალოტელი (20), **0:2 ბალოტელი** (36), **1:2 იოზილი** (90+2, პენალტით).

ბერძენ-რომაელები ლონდონისთვის შეიკვრნენ

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის შემადგენლობა გაახმოვანა.

ანუ ის ექსვეული, რომელიც ოლიმპიურ ხალიჩაზე მოსინჯავენ საკუთარ შესაძლებლობებს. უცხო არავისთვის უნდა იყოს ის, რომ ბერძენ-რომაელთა ნაკრები სრულ გუნდამდე 55 კილოგრამ წონით კატეგორიას მოისაკლისებს.

ასევე წინასწარვე იყო ცნობილი, რომ ბეგი დარჩია აქცენტს იმ სპორტსმენებზე გააკეთებდა, რომლებმაც სალიცენზიო ნორმატივები შეასრულეს. ერთადერთი რაც მეტ-ნაკლებად გასარკვევი იყო 74 კილოგრამია, რომელშიც ზურაბ დათუნაშვილთან ერთად წინასაოლიმპიადო სამზადისს გადიოდა პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია. ეგაა, საქმე საკონტროლო შეხვედრამდე არ მისულა. ტიტულოვანი ფალავანი ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობამ ნაკრები გუნდების კოორდინატორად დანიშნა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი სპორტული კარიერის დასრულებაზე ფიქრობს. ეგაა, გადაჭრით იქამდე ვერაფერს ვიტყვით, ვიდრე თავად მოჭიდავე არ განაცხადებს მასზე ოფიციალურად.

ქართული ოლიმპიური ექვსეული გუშინ გამთენიისას გერმანიაში გაფრინდა დორტმუნდის "დიდ პრიზზე» (30 ივნისი-1 ივლისი) საასპარეზოდ, რომელსაც ლონდონისთვის მოსამზადებელი ციკლის სასტარტო ტურნირის დატვირთვა ექნება. დორტმუნდის ხალიჩის შემდეგ დარჩია საკუთარ სამწყსოს ბელარუსში სტაიკების ოლიმპიურ ბაზაზე იახლებს შეკრებაზე.

საქართველოს ნაკრები

60 კგ.
რევაზ ლაშხი
66 კგ.
მანუჩარ ცხადაია
74 კგ.
ზურაბ დათუნაშვილი
84 კგ.
ვლადიმერ გეგეშიძე
96 კგ.
სოსო ჯაბიძე
120 კგ.
გურამ ფერსელიძე.

იკერ კასილიასი: "ესპანეთი ახალ ისტორიას წერს"

ესპანეთ-პორტუგალიის მატჩი პირველიდან ბოლო წუთამდე ნერვების ბრძოლა იყო. ფაბრეგასის მიერ გატანილი გამარჯვების პენალტის შემდეგ დელ ბოსკეს შეგირდები ემოციებს არ მალავდნენ. ტოპ ტურნირის ზედიზედ მესამე ფინალი - განა ეს საამაყო არ არის?

სერხიო რამოსის პენალტი

- სანამ ნიშნულთან მივიდოდი, არ ვიცოდი, როგორ დავარტყამდი, - აღიარა ფაბრეგასმა, - ახლა ემოციებით ვარ აღსავსე. ეს განუმეორებელი გრძნობაა. არ ვიცი, აქამდე რომელიმე გუნდს თუ გაუკეთებია ასეთი რამ - ოთხ წელიწადში სამი ტოპ ტურნირის ფინალი (ასეთი რამ გფრ-ის ნაკრებმა გააკეთა). გამარჯვების შემდეგ მხოლოდ ოჯახზე ვფიქრობდი. მინდა, რომ ფინალურ მატჩს ჩემიანები დაესწრონ.

- ბოლო პენალტის დარტყმა თავად გადაწყვიტეთ?

- დიახ, რაღაც წინათგრძნობა მქონდა. ჩვენი მწვრთნელი ტონი (დელ ბოსკეს თანაშემწე) მთავაზობდა, რომ მეორეს დამერტყა. მე ბოლო დარტყმა ვარჩიე.

- როგორ ფიქრობთ, ვისთან მოგიწევთ ფინალში თამაში?

- შეიძლება გერმანიასთან. არც იატლიაა გამორიცხული. ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს.

ესპანელთა მეკარემ იკერ კასილიასმა თქვა, რომ გაკვირვებული დარჩა, როდესაც რონალდუ პენალტის ნიშნულთან არ მივიდა, თუმცა, ისიც დაამატა, რომ პენალტების სერიაში ის რონალდუზე არ ფიქრობდა.

- ვიყავი თუ არა მშვიდად პენალტების დროს? ეს ლატარიაა და აქ ნერვიულობა გარდაუვალია, მაგრამ ნერვები უნდა მოთოკო. ჩვენთვის ყველაფერი ცუდად დაიწყო, მაგრამ გამიმართლა და პირველივე პენალტი მოვიგერიე. ამის წყალობით ვითარება გამოსწორდა. ესპანეთი ახალ ისტორიას წერს. ოთხი წლის წინ ვერც კი ვიოცნებებდით, რომ ზედიზედ სამ ფინალში ვითამაშებდით. ახლა უკვე მესამე ტიტულის მოგება გვინდა.

- მატჩისთვის მოსამზადებლად თქვენ უფრო ცოტა დრო გქონდათ, ვიდრე პორტუგალიას. ამან თუ იმოქმედა ესპანელთა თამაშზე?

- საფრანგეთთან მატჩის შემდეგ ფეხბურთელები დაღლილობას ვგრძნობდით. რას იზამ, ასეთია დიდი ტურნირების გრაფიკი. ფინალის წინ კი ჩვენ გვექნება მეტოქეზე ერთი დღით მეტი დასასვენებლად.

სერიხო რამოსი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. მაისში სერხიომ "რეალისა" და "ბაიერნის" მატჩში პენალტების სერიაში ბურთი კარს ააცილა და შედეგად ფინალში "ბაიერნი" გავიდა.

- "ბაიერნთან" განცდილი წარუმატებლობის მიუხედავად, პენალტის დარტყმის არ მეშინოდა. საკუთარ თავში დარწმუნებული ვიყავი. ვამაყობ, რომ ესპანელი ვარ. მიხარია ფინალში გასვლა. ჩვენ ეს დავიმსახურეთ. ვისთან გვინდა კიევურ ფინალში თამაში? ამას მნიშვნელობა არა აქვს. დაე, ფინალში საუკეთესო გავიდეს.პორტუგალიელთა მეხუთე პენალტი კრიშტიანუ რონალდუს უნდა შეესრულებინა...

- პენალტების სერიის წინ მე და მწვრთნელი ვმსჯელობდით, რომელი პენალტი უნდა შემესრულებინა. მან მითხრა, რომ ნიშნულთან მეხუთე უნდა მივსულიყავი.

- ახლა რას გრძნობთ?

- მარცხის შემდეგ ყოველთვის რჩება იმედგაცრუების გრძნობა. თუმცა წავაგეთ ისეთ გუნდთან, როგორიც ესპანეთია და წავაგეთ მხოლოდ პენალტების სერიაში. ასე რომ, შეგვიძლია ვიამაყოთ კიდეც. რა თქმა უნდა, ჩვენი ნაკრებისთვის ეს რთული მომენტია. ბოლოს და ბოლოს, ორი პენალტი ვერ გავიტანეთ.

- ესპანეთის ნაკრებში ბევრი მეგობარი გყავთ. მათ წინაღმდეგ თამაში არ გაგიჭირდათ?

- არა. ყველაფერი ნორმალურად იყო. მინდვრის მიღმა ჩვენ ვმეგობრობთ, მინდორზე კი მეგობრობა არ არსებობს. ესპანეთს ფინალში გაუჭირდება, თუმცა, წარმატებას ვუსურვებ. ამ ქვეყანაში ჩემი მეგობრები ცხოვრობენ და მეც ამ ქვეყნის გუნდის ღირსებას ვიცავ.

პორტუგალიელთა მცველმა ბრუნო ალვეშმა პენალტი ვერ გაიტანა, თუმცა, მატჩის შემდეგ ამის გამო ტრაგედია არ შეუქმნია. მან, უბრალოდ, თქვა, რომ ოდნავ იჩქარა.

- პენალტის დასარტყმელად ადრე წავედი, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ამის გამო ავაცილე. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ცუდად არ დავარტყი. უბრალოდ, მიზანს ავაცილე.

- როგორ შეაფასებდით თქვენი გუნდის თამაშს?

- მარცხის მიუხედავად, უნდა ვთქვა, რომ კარგად ვითამაშეთ. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთან პენალტებით დამარცხება სამარცხვინო არ არის. იმედგაცრუებას ვგრძნობ. ძალიან ახლოს ვიყავით ფინალთან.